საქართველოს პარლამენტის ბიბლიოთეკა
ეროვნული ბიბლიოთეკა

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.org.ge/lelo

ლელო

№ 56
(11 513)

20 – 23 ივლისი, 2001 წ.
ფასი 40 თეთრი

გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან

ქუთაისის „ტორპედოს" პირველი გამოცდა ჩაბარდა 4

პერუ–მექსიკა

ნომრიდან ნომრამდე

საქართველოს სპორტული დელეგაციის გამგზავრება ევროპის ახალგაზრდულ თამაშებზე კარგა ხანს დიდი კითხვის ნიშნის ქვეშ იყო. გაჭირდა თანხების მოძიება და ბოლოს ისევ ქართული სპორტის დიდმა მეგობარმა გოგი თოფაძემ და მისმა კომპანიამ გამოიღო ხელი. გადავრჩით სირცხვილს!

გუშინწინ, საქართველოს ეროვნულ ოლიმპიურ კომიტეტში გოგი თოფაძის მიერ ნაჩუქარი მხიარული განწყობილება სუფევდა. ესპანეთში, ქალაქ მურსიაში თამაშებზე მიმავალ რვა ძიუდოისტის და ორად-ორი ჩოგბურთელის, მოცურავისა და მძლეოსნის გარდა, ოლიმპიურ კომიტეტში შეიკრიბნენ მათი მწვრთნელები, ვეტერანი სპორტსმენები, ახლობლები, სპორტის მუშაკები, გულშემატკივრები და ჟურნალისტები. ოლიმპიურ მუზეუმში თანატოლთა სახელით ფიცი დადო ჩოგბურთელმა ნინო უროტაძემ.

სეოკ-ის გენერალურმა მდივანმა ემზარ ზენაიშვილმა რამდენჯერმე მადლობით მოიხსენია გოგი თაფაძე თანადგომისთვის.

მეორე მნიშვნელოვანი ამბავი ფიზიკური აღზრდის სპორტის აკადემიაში მოხდა. ახალკურსდამთავრებულები, სახელმწიფო გამოცდების ჩაბარების შემდეგ, განათლების სისტემაში კადრების კურატორთა ხელშეწყობით, სამუშაოდ გაიგზავნენ სხვადასხვა სასწავლო დაწესებულებაში.

და აქვე არ შეიძლება არ ითქვას ვეტერან ქართველ სპორტსმენთა იმ დიდ ავტორიტეტზე, რის შედეგადაც პანკისის ხეობაში დაძაბული სიტუაცია კულმინაციამდე არ მივიდა და ქისტ მეგობრებთან საერთო ენა გამოინახა. ქართველ სპორტსმენებს მანამდეც არაერთხელ შეუტანიათ თავიანთი წონადი წვლილი კავკასიის ხალხებთან კეთილ-ზობლური ურთიერთობების განმტკიცებაში...

კოპა ამერიკა 5

COPA AMERICA
COLOMBIA 2001

ჩემპიონთა ლიგა
შალკე (ბოსნია) – ლევსკი (ბულგარეთი) 4

ქაკ როგს რუსეთიც ესიმპათიურება და გერმანიაც

მოსკოვში სოკ-ის 112-ე სესიის მასპინძლობით მოსკოვმა კარგი ფონი შექმნა, რათა მოითხოვოს და მხარდამჭერებიც მოიპოვოს „ოლიმპიადა-2012"-ის კანდიდატებთან ბრძოლაში. სოკ-ის ახალი პრეზიდენტიც სიმპათიებს გამოთქვამს მოსკოვის მიმართ. ამავე დროს გერმანულ გაზეთ „ბილდში" გუშინ გამოქვეყნდა საუბარი ჟაკ როგთან, რომელიც აქებს და ადიდებს გერმანიას, როგორც მსოფლიოში მოწინავე სპორტულ ქვეყანას და დასძენს, რომ დიდი შანსი აქვს მოიპოვოს 2012 წლის ოლიმპიადის მასპინძლობის უფლება.

ამასთან, როგი აღნიშნავს, რომ სპორტის 28 სახეობა მაქსიმალურია თამაშებისთვის, მაგრამ ის სახეობები, რომლებმაც დაკარგა პოპულარობა, აღარ უნდა შევიდეს ოლიმპიადის პროგრამაში.

ოლიმპიურ სამყაროში ცვლილებების ექო 2

როდის ჩატარდა ქართველების, სომხების და აზერბაიჯანელების მონაწილეობით პირველი შეჯიბრება ქართულ ჭიდაობაში? 2

ნაღდ ბრაზილიელებს შემადგენლობითაც გამოარჩევთ 6

რომელი ფეხბურთელი რამდენი მილიონი ღირს

გაზეთის დაბეჭდვის წინ:

გუშინ წერტილი უნდა დასმოდა კამერუნელი მცველის ჟერემის „რეალიდან" გადასვლას „ჩელსიში" 6,5 მილიონ ფუნტ სტერლინგად, მაგრამ ინგლისელებმა შეხვედრა ამ თვის ბოლომდე გადადეს. როგორც ჩანს, ინგლისელები „რეალს" შესთავაზებენ არა მხოლოდ ჟერემს, არამედ სტივ მაკმანამანსაც.

იტალიის „პერუჯას" მწვრთნელმა სერსე კოსმიმ განაცხადა, რომ უსაფუძვლოა ხმები გუნდის სამი ნახევარმცველის ქვეყნის სხვა კლუბებში გადასვლის თაობაზე. „რაც შეეხება ლიდერს, ფაბიო ლივერონის, ჩვენ არ ვაპირებთ მასთან განშორებას, „იუვენტუსში" მისი გადასვლა სულ მცირე მომავალი წლის გაზაფხულამდე გადაიდება" — თქვა კლუბის დირექტორმა ალესანდრო გაუჩიმ.

საქართველოს მოჭიდავეთა საზოგადოება „რაინდი" დაბადებიდან 60 წლისთავს ულოცავს ამავე საზოგადოების წევრს, ცნობილ ვეტერან ფალავანს, საქართველოს მრავალგზის ჩემპიონს ბერძნულ-რომაულ ჭიდაობაში **შოთა იაშვილს**.

ლენს არმსტრონგმა ზედიზედ „ტურ დე ფრანსის" ორი ეტაპი მოიგო 3

იარიგინის ტურნირი ჩვენებმა ტაქტიკური მოსაზრებით გამოტოვეს

წუხელ გავრცელებული ინფორმაციით, კრასნოიარსკში, დღეს იწყება იარიგინის ხსოვნის ტურნირი 14 ქვეყნის ფალავანთა მონაწილეობით. მათ შორის არ იქნებიან საქართველოს მოჭიდავეები.

წუხელვე, გვიან ღამით, დავუკავშირდით ჩვენი ფედერაციის ვიცეპრეზიდენტს ვლადიმერ იაშვილს, რომელმაც გვითხრა, რომ ფედერაციამ და მწვრთნელთა საბჭომ ტაქტიკური მოსაზრებით თქვა უარი ტურნირში მონაწილეობაზე და უფრო მოგვიანებით, მსოფლიო ჩემპიონატთან მიახლოებულ პოლონეთის ტურნირში მონაწილეობა არჩიეს. ცხადია, თავი იჩინა ფინანსურმა პრობლემებმაც. მით უფრო, რომ მოახლოვდა მსოფლიო ჩემპიონატი თავისუფალ და ბერძნულ-რომაულ ჭიდაობაში ტაშკენტში 20-წლამდე ახალგაზრდებს შორის, სადაც ჩვენი მომავალი ოლიმპიელების მონაწილეობა აუცილებელია.

სხვა ახალი ამბები იხილეთ მე-3 გვერდზე

ეროვნული ბიბლიოთეკა

ATHENS 2004
CANDIDATE CITY

SALT LAKE 2002

მომავალ ოლიმპიურ თამაშებამდე 3 წელიწადი და 1 თვე დარჩა

ზამთრის XIX ოლიმპიურ თამაშებს 207 დღე გვაშორებს

8–24 თებერვალი 2002 წ.

რუსეთის ეოკ-ში ლეონიდ ტიაგაჩევი მოვიდა

ლეონიდ ტიაგაჩევი

ადრე გავრცელებული ხმები იმის თაობაზე, რომ რუსეთის ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის პოსტზე ვიტალი სმირნოვს ლეონიდ ტიაგაჩევი შეცვლიდა, დადასტურდა. 18 ივლისს ტიაგაჩევი რუსეთის ეოკ-ის პრეზიდენტად აირჩიეს, რომელიც ადრე პირველი ვიცე-პრეზიდენტი იყო. როგორც „ლელოს" წინა ნომერში ვწერდით, სმირნოვი სოკ-ის ვიცე-პრეზიდენტად აირჩიეს და თავის შემცვლელ კანდიდატად ტიაგაჩევი დაასახელა.

ვინ არის ლეონიდ ტიაგაჩევი? დაიბადა 1946 წელს. 1975 წელს იგი სსრ კავშირის სამთომეთხილამურეთა ნაკრები გუნდის უფროსი მწვრთნელი გახდა. 1979 წელს მისი ხელმძღვანელობით ნაკრები საუკეთესოდ აღიარეს მსოფლიოში. 1992 წლიდან ტიაგაჩევი რუსეთის სამთო-სათხილამურო სპორტის ფედერაციის პრეზიდენტი და ნაკრების უფროსი მწვრთნელია. 1996 წლის 1 ნოემბრიდან სათავეში ედგა რუსეთის ფიზიკური კულტურისა და ტურიზმის სახელმწიფო კომიტეტს.

დავძენთ, რომ ლეონიდ ტიაგაჩევი საქართველოს სამთომეთხილამურეთა ნაკრები გუნდის უფროსი მწვრთნელის გერა აბრამიშვილისა და ჩვენი ფედერაციის პრეზიდენტის გოგი თოფაძის ახლო მეგობარია.

სამარანჩი გადაიღალა?

81 წლის ხუან ანტონიო სამარანჩი, რომელმაც მთელი 21 წელიწადი დაჰყო საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტის პოსტზე და მოსკოვში მოიხსნა უფლებამოსილება სოკ-ის 112-ე სესიაზე, შვეიცარიაში დაბრუნებისთანავე, პირდაპირ ლოზანას საავადმყოფოში მოხვდა. ამას სოკ-ის ექსპრეზიდენტის გადაღლას მიაწერენ. თუმცა, სამარანჩი მუდამ ბევრს მოგზაურობდა და თავს მხნედ გრძნობდა. მაგრამ ყველაფერს აქვს საზღვარი, ასაკს მაინც თავისი გააქვს, თანაც ღვაწლმოსილ მოხუცს ადამიანურადაც უნდა გავუგოთ — საყვარელ საქმესთან გამოთხოვებას მუდამ თან სდევს გარკვეული სინანული და შინაგანი განცდები. იმედი ვიქონიოთ, ყველაფერი კარგად იქნება და სოკ-ის შტაბბინის გასაღების გადაცემის ცერემონიალი, მალე აუცილებლად გაიმართება.

საგზაო პოლიციელებს სისწრაფეში ვინ აჯობებს...

საგზაო პოლიციას დაარსებიდან 65 წელი შეუსრულდა. ამ თარიღთან დაკავშირებით თბილისში, დედაქალაქის ყველა რაიონის რჩეული პოლიციელი სპორტსმენების მონაწილეობით, სპორტის სასახლესთან გაიმართა შეჯიბრება მანქანის სწრაფ მართვაში... ბევრმა გამოიჩინა თავი მაღალი ოსტატობით, რომლებიც სხვადასხვა მარკის ავტომანქანებით ასპარეზობდნენ.

უძლიერესის სახელი მოიპოვა ვაკე-საბურთალოს რაიონის საგზაო პოლიციის თანამშრომელმა, სპორტის ოსტატმა მირიან ონოფრიშვილმა, მეორე იყო ვასილ ხოსიტაშვილი (დიდუბე-ჩუღურეთი), მესამე — დავით ჩოხელი (ვაკე-საბურთალო).

შეჯიბრებაში მონაწილე პოლიციელები: მესამე რიგში მარცხნიდან მეოთხეა პირველ ადგილზე გასული მირიან ონოფრიშვილი; პირველ რიგში მარცხნიდან პირველი — მეორე პრიზიორი ვასილ ხოსიტაშვილი; მესამე რიგში მარჯვნიდან პირველი — მესამე ადგილზე გასული დავით ჩოხელი (ლადარ მალხაზიშვილის ფოტო).

ქართული ჭიდაობის ისტორიიდან

ამიერკავკასიის პირველი შეჯიბრება ქართულ ჭიდაობაში

ერთადერთი ეროვნული სპორტის სახეობა, რომლითაც ქართველ ხალხს შეუძლია მსოფლიოს გააცნოს თავისი კულტურა, ისტორია, ადათ-წესები და ის ბრწყინვალე წარმატებები, რომლებიც ქართველმა ფალავნებმა მოიპოვეს საერთაშორისო არენაზე, ჩვენი ეროვნული საგანძური — ქართული ჭიდაობაა.

ეს იდეა არახალია, იგი ყოველთვის იყო თაობათა ოცნება და დღესაც არ კარგავს აქტუალობას.

როგორც ირკვევა, ჯერ კიდევ 66 წლის წინათ, 1935 წელს თბილისში ჩატარებულა ამიერკავკასიის პირველი შეჯიბრება ქართულ ჭიდაობაში, გთავაზობთ ჟურნალ „Закавказский физкультурник"-ში (1935 წ. №3-4) გამოქვეყნებულ გ. შმერლინგის წერილს:

„ქართული ჭიდაობა ეროვნული სპორტის ერთ-ერთი საინტერესო სახეობაა, საქართველოში მთელ რიგ სოფლებში, რაიონებსა და ქალაქებში არ ტარდება არც ერთი სახალხო დღესასწაული ქართული ჭიდაობის გარეშე.

აქამდე ქართული ჭიდაობა განვითარებული იყო, მხოლოდ საქართველოში, და აი, უკანასკნელ ხანს იგი დანერგვას იწყებს სომხეთსა და აზერბაიჯანში. მაგალითად, სომხეთში კიროვაკანის რაიონში იგი ინერგება როგორც სპორტის ეროვნული სახეობა.

ამ წელს ამიერკავკასიის ფიზიკური კულტურის საბჭომ გადაწყვიტა პირველად ჩაატაროს შეჯიბრება ქართულ ჭიდაობაში საქართველოს, აზერბაიჯანისა და სომხეთის მოჭიდავეთა მონაწილეობით. ამ შეხვედრამ ხელი უნდა შეუწყოს ქართული ჭიდაობის კიდევ უფრო მეტ განვითარებას ამიერკავკასიაში.

შეჯიბრების გახსნის დღეს, 12 დეკემბერს, ლენინის სახელობის სპორტდარბაზი სავსე იყო მრავალრიცხოვანი მაყურებლებით. ზურნის საჭიდაო მელოდიის ხმაზე, რის გარეშეც არ ტარდება არც ერთი ორთაბრძოლა, საზეიმოდ გაიხსნა შეჯიბრება 28 უძლიერესი მოჭიდავის მონაწილეობით.

მოჭიდავეს მიესალმა ამიერკავკასიის ფიზიკური კულტურის საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ამხ. მილშტეინი, რომელმაც აღნიშნა ამ შეჯიბრების დიდი მნიშვნელობა, როგორც პირველი შეჯიბრებისა ქართულ ჭიდაობაში მომმე რესპუბლიკების წარმომადგენლების მონაწილეობით.

ქართული ჭიდაობა მკვეთრად განსხვავდება ფრანგულისაგან. მოჭიდავეები გამოდიან თავისებურ სპეციალურ საჭიდაო „ჩოხებში". ამასთან, აკრძალულია მოწინააღმდეგის ტანზე ხელის მოხვევა, დასაშვებია მხოლოდ გდებები ხელების მეშვეობით და ფრანგული ჭიდაობისგან განსხვავებით, ფეხების გამოყენება, სარმების ჩატარებით. მეტოქენი, რომლებსაც ხელები ჩავლებული აქვთ ჩოხების ქამრებში, ცდილობენ მოხერხებულად წააქციონ მოწინააღმდეგე ისე, რომ მისი ბეჭები ხალიჩას შეეხოს.

საჭიდაო მოედანზე, მთელი შეჯიბრების განმავლობაში, ერთმანეთს ცვლიდნენ მოჭიდავეთა წყვილები. თავიდანვე ყველასთვის ნათელი გახდა, რომ აზერბაიჯანისა და სომხეთის მოჭიდავეებს არ აქვთ ისეთი ტექნიკა როგორიც საქართველოს მოჭიდავეებს. აზერბაიჯანის მთლიანი გუნდი დაკომპლექტებული იყო ამიერკავკასიის ფიზიკური კულტურის ინსტიტუტის სტუდენტებით.

მოწინააღმდეგენი ხვდებოდნენ ერთმანეთს სწრაფ ტემპში და ცდილობდნენ სწრაფად და მოხერხებულად დაემარცხებინათ ერთი-მეორე.

ზურნა უკრავდა ქართული ჭიდაობისათვის აუცილებელ, ტრადიციულ „საჭიდაოს", რომელიც შეხვედრის დამთავრებისთანავე ცეკვა ლეკურის მოტივზე გადაირთვებოდა ხოლმე, რათა გამარჯვებულს საცეკვაო ჩამოევლო.

მაყურებლისათვის, პირველი შეხვედრებიდანვე, ნათელი გახდა, რომ ყველა წონით კატეგორიაში პირველ ადგილებს ქართველი მოჭიდავეები მოიპოვებდნენ. ყველაზე უშეღავათო შეხვედრა გაიმართა მჩატე წონის, მაღალი ტექნიკის მქონე მოჭიდავეებს დავიდოვსა. და ცინცაბაძეს შორის. ეს შეხვედრა დამთავრდა ფრედ და მხოლოდ ქულების დათვლის შემდეგ გამარჯვება დავიდოვს მიენიჭა. უნდა აღინიშნოს, რომ ამ წონაში თავიდანვე ლიდერობდნენ დავიდოვი და ცინცაბაძე, რომლებსაც არც ერთი დამარცხება არ ჰქონდათ.

მსუბუქი წონის მოჭიდავეთა შორის იოლად გავიდა პირველ ადგილზე მაღალი ტექნიკის მქონე საქართველოს მოჭიდავე პაპიაშვილი. საშუალო წონაში საუკეთესო ჭიდაობა გამოავლინა მოჭიდავე ბერელაშვილმა, რომელიც გამოირჩეოდა კორექტულობით, მოქნილობითა და ტექნიკით კარგ აგებულებასთან ერთად.

ქვემძიმე წონაში მოჭიდავე ნათელაშვილმა დაამარცხა მოჭიდავე ნაკასაშვილი, რომელსაც აქამდე საქართველოს პირველობა არ წაუგია. დიდი ფიზიკური ძალის მფლობელმა საგარეჯოელმა მოჭიდავემ — გოლიათმა მეკოკიშვილმა იოლად დაამარცხა ყველა თავისი მოწინააღმდეგე.

ამიერკავკასიის პირველი შეჯიბრების ქართულ ჭიდაობაში საერთო შედეგები ასეთნაირია:

მჩატე წონა — პირველი ადგილი — დავიდოვი, მეორე — ცინციბაძე, მესამე და მეოთხე გაიყვეს მეტივიშვილმა და ტარიელაშვილმა (ყველა — საქართველო). მსუბუქი წონა — პირველი ადგილი — პაპიაშვილი, მეორე ადგილი — მანჯავიძე (საქართველო), მესამე ადგილი — ბოშოიანი (სომხეთი), საშუალო წონა — პირველი ადგილი — ბერელაშვილი, მეორე ადგილი — გუნდიაშვილი, მესამე ადგილი — ჯანოგაშვილი, ქვემძიმე წონა — პირველი ადგილი — ნათელაშვილი, მეორე ადგილი — ნაკასაშვილი, მესამე ადგილი — იასაშვილი (ყველა — საქართველო). მძიმე წონა — პირველი ადგილი — მეკოკიშვილი, მეორე ადგილი — სიქტურაშვილი (საქართველო).

აუცილებელია აღინიშნოს ის გარემოება, რომ სომხეთის წარმომადგენელმა ბოშოიანმა არასაკმარისი ვარჯიშისა და ტექნიკის მიუხედავად, მაინც დაიკავა მესამე ადგილი. სომხეთის სპორტის ხელმძღვანელებმა აუცილებლად უნდა მიაქციონ ყურადღება ქართული ჭიდაობის შემდგომ განვითარებას კიროვაკანის რაიონში".

მკითხველს აქვე ვთავაზობთ გამარჯვებულთა ფოტოებს და ვთხოვთ ამოიცნონ მათი ვინაობა და გვაცნობონ თუ ვინ არიან ისინი.

წერილი თარგმნა
და მოგვაწოდა
ქართული ჭიდაობის ფედერაციის
გენერალურმა მდივანმა
იური იმერლიშვილმა.

ანა ბაბიშვილი ამერიკის ტურნირებში იმარჯვებს



11 წლის თბილისელი ჩოგბურთელი გოგონა, სპორტკლუბ „დინამოს" წევრი და მწვრთნელ ვ. ბაქშის შეგირდი ანა ტატიშვილი ამას წინათ აშშ-ის ჩოგბურთის ასოციაციის 6 ტურნირში მონაწილეობდა. აქედან ორში 12 წლამდელთა და ოთხში 14 წლამდელთა შორის. ხუთ ტურნირში ნიჭიერმა ქართველმა გოგონამ პირველობა მოიპოვა, ერთში კი მეორე იყო. სულ ახლახან კი იტალიის ორ ქალაქში გამართულ ტურნირებში იასპარეზა ანა ტატიშვილმა. შეჯიბრებები ჩაატარა ევროპის საჩოგბურთო ასოციაციამ 12 წლიანთათვის. ანამ ერთეულთა თანრიგში ფინალში გაადწია, სადაც იტალიის №1 ჩოგბურთელ კარინა დენტონის სძლია 6:4, 6:2. შემდეგ ჰოლანდიელ თანატოლთან ერთად წყვილთა თანრიგში იასპარეზა და მეორე ადგილი დაიკავა.

შემდეგ სხვა ქალაქში გადავიდნენ მონაწილენი. ანა იქაც ფინალში მოხვდა, მაგრამ გადაღლილად გრძნობდა თავს და მეორე ადგილს დასჯერდა. დავძენთ, რომ ქართველი გოგონა ერთი წლით უფროსებთან ასპარეზობდა.

ანა ტატიშვილი — ქართული ჩოგბურთის იმედი საქართველოს სადაზღვევო კომპანია „იმედმა" დააფინანსა (ხელმძღვანელები ა. ლორთქიფანიძე და გ. ლაპიაშვილი). ეს ფირმა პერსპექტიულ ჩოგბურთელს სხვა დროსაც დახმარებია.

ქუთაისის საჭადრაკო ცხოვრებიდან...

შემდგომ გუნდურ პირველობაში, 1954 და 1955 წლებში, ქუთაისელებმა კვლავ მოიპოვეს რესპუბლიკაში უძლიერესის სახელი. იმ პერიოდში სპეციალისტები ერთხმად გამოყოფდნენ ქუთაისელ მოჭადრაკეებს ლევან ჯახუას, ალექსანდრე რაზოვსკის, ზ. გოგოლაშვილს, ზ. ესაიაშვილს, გ. გაბუნიას, შ. ჟვანიას, ჯ. რობაქიძეს, ჯ. ქარჩხაძეს და სხვებს.

პარალელურად საფუძველი ჩაეყარა ქუთაისის რაიონის მოჭადრაკეთა ტურნირებს. 1953 წელს ჩატარებულ ასეთ სარაიონო ჩემპიონატზე პირველი ადგილი აბაშის კულტურის სახლმა დაიკავა, მეორე და მესამე ადგილები გაიყვეს ქვიტირის და მაღლაკის წარმომადგენლებმა, პირველი ადგილი დაიკავა კვახჭირელმა ა. ჩხიკვაძემ, მეორე და მესამე ადგილები გაიყვეს გეგუთელებმა ჯ. თევდორაძემ და მ. მაჩალაძემ. რაც მთავარია, საჭადრაკო არენაზე გამოდიან დავით ჩირაძის აღსაზრდელები: გულნარა ბუცხრიკიძე, იზოლდა გედენიძე, ლია ფხაკაძე, ეთერი სეფიაშვილი, გ. ბებიავა, ხოლო ვაჟებიდან აღსანიშნავია ლევან ჯახუას, გიორგი სერჟონოვის, ალექსანდრე რაზოვსკისა, გარი ბუცხრიკიძის, ბონდო გაბრიაძის, ზ. გოგოლაშვილის, ელგუჯა აბრამიძის, ბ. გურგენიძის, თენგიზ სვანიძის, რ. ჩირგაძის, გიორგი ქანთარიას, ცქიტიშვილის და სხვათა სპორტული მიღწევები.

ქების ღირსნი არიან ქუთაისელი ჭადრაკის ცნობილი ეტიუდისტები რ. დადუნაშვილი, ო. ტაბიძე, ი. კოტრიკაძე, ჯ. მახათაძე, რომლებმაც საჭადრაკო კონფერენციის საუკეთესო ტრადიციებს ჩაუყარეს საფუძველი კოლხეთის უძველეს ქალაქში.

1959 წელს დავით ჩირაძის აღსაზრდელმა ბონდო გაბრიაძემ, თბილისში გამართულ ჭაბუკ მოჭადრაკეთა რესპუბლიკურ ჩემპიონატზე წარმატებით იასპარეზა, საპრიზო ადგილები გაიყო მ. ჩაგანავასთან და თელაველ ლ. ხაბურძანიასთან ერთად.

ნიჭიერი მოჭადრაკე გულნარა ბუცხრიკიძე დავით ჩირაძის აღზრდილებიდან პირველი იყო, რომელმაც 1964 წელს ვორონეჟში გამართულ სპორტსაზოგადოება „ბურევესტნიკის" ცენტრალური საბჭოს ქალთა საჭადრაკო ჩემპიონატის ნახევარფინალში 14 მონაწილეს შორის პირველი საპატიო ადგილი დაიკავა. ყოველივე ამას წინ უძღოდა ლევან ჯახუას წარმატება რესპუბლიკურ სარბიელზე, კერძოდ, თბილისში გამართულ განათლების მუშაკთა რესპუბლიკურ პირველობაზე. 31 მონაწილეს შორის ბრწყინვალედ იასპარეზა ქუთაისელმა პედაგოგმა, რომელმაც შვეიცარიული სისტემით ჩატარებულ ტურნირში, ყველა მეტოქე დაამარცხა და რვა შეხვედრაში ქულათა მაქსიმუმი აიღო. აღსანიშნავია, რომ ლევან ჯახუამ ასევე პირველი ადგილი დაიკავა ელვისებურ ტურნირში, სადაც თერთმეტი პარტიიდან ცხრა მოიგო, ხოლო ორი ყაიმით დაამთავრა.

საფუძველი ჩაეყარა ქალთა საქალაქო ტურნირებსაც, რომელშიაც სისტემატურად მონაწილეობდნენ იამზე გედენიძე, ლია ფხაკაძე, ლ. პერტაია, თ. გოცირიძე, რ. ნიკულჩინი და სხვები.

წლების მანძილზე ქუთაისს არაერთი სახელოვანი დიდოსტატი სტუმრებია. ჯერ კიდევ ომისწინა წლებში ქუთაისის სტუმრები იყვნენ ვიქტორ გოგლიძე, ვახტანგ ქარსელაძე, ხოლო 1942 წელს ცნობილმა დიდოსტატმა, სალო ფლორმა ქუთაისში ხუთი ერთდროული სეანსი ჩაატარა. საყურადღებოა, რომ საქვეყნოდ ცნობილი დიდოსტატები სალო ფლორი და ანდრეი ლილიენტალი გვიან პერიოდშიც ქუთაისის ხშირი სტუმრები იყვნენ. 1963 წელს აგვისტოს მეორე დეკადაში, ქუთაისს დიდი ჭადრაკი ეწვია. ქალაქში გამოკრული აფიშები ქუთაისელებს მოუხმობდა სტადიონზე. „ცოცხალი ჭადრაკის" — მონაწილეთა შორის იყვნენ ნონა გაფრინდაშვილი, მსოფლიოში აღიარებული დიდოსტატები ტიგრან პეტროსიანი და დავით ბრონშტეინი, მრავალრიცხოვანი ქუთათურები გულთბილად მიესალმნენ სახელგანთქმულ მოჭადრაკეებს. ასპარეზობის მსაჯი დიდოსტატი იური ავერბახი იყო, ხოლო კომენტარს აკეთებდა ცნობილი კომენტატორი ვადიმ სინიავსკი, თეატრალიზებულმა წარმოდგენამ, რომელიც ორ დღეს გაგრძელდა, ქუთაისელთა დიდი ინტერესი გამოიწვია.

1982 წლის მიწურულს ქუთაისს ესტუმრა მსოფლიო ჩემპიონი ანატოლი კარპოვი.

სხვადასხვა დროს ქალაქის სტუმრები იყვნენ მსოფლიოს ჩემპიონი მიხეილ ბოტვინიკი, ლევ აბრამოვი, ედუარდ გუფელდი, რომან ჯინჯიხაშვილი და მრავალი სხვა.

ბუნებრივია, მდიდარმა საჭადრაკო ტრადიციებმა არაერთი სახელოვანი მოჭადრაკე წარმოაჩინა სპორტულ სარბიელზე. ერთ-ერთი მათგანი დიდოსტატი თამაზ გიორგაძეა, რომელმაც 1972-73 წლებში მოიპოვა საქართველოს ჩემპიონის წოდება, არის სტუდენტთა საკავშირო შეჯიბრების ორგზის გამარჯვებული (1966 და 1969 წ.), ვიქტორ გოგლიძის მემორიალის ორგზის ლაურეატი (1974, 1977 წწ), სტუდენტთა მსოფლიო ოლიმპიადის (1969 წ). ჩემპიონი, მოგებული აქვს ევროპის ქვეყნების საკლუბო გუნდების თასი (1976), გაუმარჯვნია არაერთ საერთაშორისო ტურნირში.

რაც მთავარია, 1989 წლიდან თამაზ გიორგაძე მიწვეული იყო ესპანეთში და წლების მანძილზე მუშაობდა ქვეყნის ნაკრების მწვრთნელად.

მისი უმცროსი კოლეგა და მოგვარე გია გიორგაძე, ცნობილი საერთაშორისო დიდოსტატი დღესაც აქტიურ სპორტულ ცხოვრობას ეწევა. საქართველოს ორგზის ჩემპიონი, არაერთი საკავშირო და საერთაშორისო ტურნირის მონაწილე, გამარჯვებული და პრიზიორი, წარმატებით გამოვიდა 1966 წელს გამართულ მსოფლიოს საჭადრაკო ოლიმპიადაზე, სადაც თავის დაფაზე ბრინჯაოს მედალი დაიმსახურა, რაც ქართული ჭადრაკის ისტორიაში პირველი შემთხვევაა, საყურადღებოა, რომ 1990 წელს ჩვენი თანაქალაქელი გარი კასპაროვის სეკუნდანტი იყო მსოფლიო პირველობის მატჩში.

მსოფლიო საჭადრაკო მშვენება მაია ჩიბურდანიძე დილი მოვლენაა მსოფლიოს სპორტულ სამყაროში, მსოფლიოს ხუთგზის ჩემპიონი ქალთა საჭადრაკო ოლიმპიადის რვაგზის ლაურეატია, არის „ოსკარის" ოთხგზის მფლობელი, მრავალ საერთაშორისო ტურნირში გამარჯვებული.

თავისი ფენომენური შედეგებით სპორტული სამყარო მაიამ ჯერ კიდევ 17 წლისამ გააოცა, როცა 1978 წელს ბიჭვინთაში მატჩში ანგარიშით 8,5: 6,5 დაამარცხა მსოფლიოს ხუთგზის ჩემპიონი ნონა გაფრინდაშვილი და მსოფლიოს მეექვსე ჩემპიონი გახდა.

1981 წელი იდგა. ახალგაზრდა ჩემპიონს პირველად უნდა დაეცვა ტიტული მრავალნაკად დიდოსტატ ნანა ალექსანდრიასთან ბრძოლაში. მატჩი გაიმართა ბორჯომსა და თბილისში. პირველი ნახევარი ბორჯომში მეტად შეუპოვრად წარიმართა და დამთავრდა ჩემპიონის მცირე უპირატესობით 4,5:3,5. თბილისში ალექსანდრია უკეთ თამაშობდა და მეთორმეტე პარტიის მოგების შემდეგ, ანგარიში გათანაბრდა. ორთაბრძოლის დამთავრებამდე სულ ორი შეხვედრა რჩებოდა, ჩემპიონმა მოიგო მე-15 პარტია და წოდება შეინარჩუნა (8:7), თუმცა მატჩის მოგება საბოლოოდ ვერ შეძლო — ალექსანდრიამ გაიმარჯვა ბოლო პარტიაში და ანგარიში გაათანაბრა — 8:8. ეს პირველი ორთაბრძოლა იყო ქალთა შორის მსოფლიო პირველობაზე ბრძოლების ისტორიაში, რომელიც ყაიმით დასრულდა.

ზურაბ ჯავახაძე.

გაგრძელება იქნება

დასაწყისი იხ. „ლელო", № 52, 54

ცნობები ინტერნეტის სამყაროდან

რბოლა დღეს განახლდება

„ტურ დე ფრანსის" სუპერმრავალდღიან ველორბოლაში ზედიზედ ორი ეტაპის მოგების შემდეგ, ამერიკელი ლენს არმსტრონგი საგრძნობლად მიუახლოვდა ლიდერს და საერთო ჩათვლაში მესამე ადგილზე გადაინაცვლა. კვლავ ლიდერობს ფრანსუა სიმონი (საფრანგეთი) — 45:34.09, მეორეა ანდრეი კიკილევი (ყაზახეთი) — ჩამორჩენა 11.54, არმსტრონგი ლიდერს 13.07 წუთით ჩამორჩება.

მთაგორიან მეთორმეტე ეტაპზე (გრენობლი-შამრუსი, 32 კმ) არმსტრონგმა 1 წუთით აჯობა გერმანელ იან ულრიხს, მესამე იყო ესპანელი ხოსეგა ბელოკი — ჩამორჩენა 1,35. გამარჯვებულის დროა — 1:07,27. გუშინ მრბოლები ისვენებდნენ.

სურათზე: ლენს არმსტრონგი.

სინქრონული ცურვა

ბრუსნიკინას — ოქრო

რუსმა სინქრონულმა მოცურავემ ოლგა ბრუსნიკინამ მოიგო ოქროს მედალი მსოფლიოს ჩემპიონატზე იაპონიის ქალაქ ფუკუოკაში.

ხოლო:

1. ოლგა ბრუსნიკინა (რუსეთი) — 99,434
2. ვირჟინი დიდიე (საფრანგეთი) — 98,287
3. მიია ტატიბანა (იაპონია) — 97,870

ოლგა ბრუსნიკინა

მძლეოსნობა

ზურნირი, ზურნირის რეკორდით

გერმანიის ქალაქ კოტბუსში მიმდინარე მძლეოსანთა დიდ საერთაშორისო ტურნირზე შეჯიბრების ახალი რეკორდი დამყარდა — უნგრელმა ბალაშ კიშმა ურო 81 მეტრსა და 36 სანტიმეტრზე სტყორცნა. გაგაცნობთ სხვა გამარჯვებულებს: ***ვაჟები. 100 მ*** — შონ კროუფორდი (აშშ) — 10,19; ***110 მ. თარჯრბენი*** — ობრი ხერინგი (აშშ) — 13,46; ***1500 მ*** — პოლ მვანგი (კენია) — 3.39,64; ***3000 მ*** — რაფაი ბუაცა (მაროკო) — 7.56,37; ჰოკი — ნიკ ჰაისონგი (აშშ) — 5,75.

ქალები. 800 მ — ნიკოლ ტეტერი (აშშ) — 2.01,54; ***1500 მ*** — რანტა ხოპოვა (ჩეხეთი) — 4.09,75; ***სიმაღლე*** — გალინა ასტაფეი (გერმანია) — 1,91; ***ბირთვი.*** ასტრიდ კუმპერნუსი (გერმანია) — 19,58.

ფორმულა-1

„მინარდი" პლუს „ფერარი" — ეს უკვე ძალაა

„მინარდის" მფლობელი პოლ სტოდარტი მოლაპარაკებას ეწევა „ფერარის" სპორტულ დირექტორთან ჟან ტოდტომთან ძრავების მიწოდებაზე 2002 წლისათვის. თუ შეთანხმება შედგა, „მინარდის" ჯგუფს სულ მცირე 20 მილიონის გაღება მოუწევს. აქამდე ეს ჯგუფი „ფორდის" ორი წლით მოძველებული ძრავებით სარგებლობდა.

ნბა-ს ყველაზე ძვირადღირებული ჯრის უებერი რჩება „საქრამენტოში". ეს წუხელ გახდა ცნობილი. კონტრაქტი 7-წლიანია, თანხა — 123 მილიონი დოლარი, რაც ზღვრული თანხაა და ნებადართულია ლიგის წესებით.

ფეხბურთის ცინცხალი ამბები

ახალი ტექნოლოგიები აღადგენენ პელეს „გოლ-საოცრებას"

პელეს მიერ 1959 წლის 2 აგვისტოს „იუვენტუსის" კარში გატანილი გოლი, როცა პელეს „სანტოსი" მის წინააღმდეგ თამაშობდა, ფეხბურთის ისტორიაში საუკეთესო გოლადაა მიჩნეული. თუმცა, იგი არასოდეს ყოფილა დაფიქსირებული ვიდეოფირზე...

თანამედროვე ტექნოლოგიების შესაძლებლობების გამოყენებით, თურმე შესაძლებელია ამ ისტორიული გოლის აღდგენა. გაიხსენეთ, როცა 19 წლის პელემ ვირტუოზულად აუარა გვერდი ოთხ მცველს, გადაუგდო მათ ბურთი თავზე და ისე, რომ მინდორზეც არ დაშვებულა, თავით გაიტანა მეტოქის კარში. ეს 12-წამიანი ეპიზოდი, მალე გაცოცხლდება და შევა ფილმში „პელე — საუკუნის სპორტსმენი". ფილმის რეჟისორია ანიბალ მასანი.

თანადგომისათვის რუი კოშტა, შევჩენკოს მადლობელია

რუი კოშტა კმაყოფილია „მილანში" გადასვლით და იმ ზღაბრული მიღებით, რაც მას იქ მოუწყვეს. „ისეთი მოთამაშეების გვერდით, როგორიცაა ფილიპო ინძაგი და ანდრეი შევჩენკო, ადვილია წარმატების მიღწევა. მათ შეუძლიათ ნებისმიერ დროს, ნებისმიერ სიტუაციაში გაიტანონ გოლი. მადლობელი ვარ შევჩენკოსი, ჩემი მისამართით გამოთქმული თბილი სიტყვებისთვის. ბედნიერებაა ითამაშო იმის გვერდით, ვინც მოგწონს" — ამბობს მანუელ რუი კოშტა.

ჯანფრანკო ძოლა მწვრთნელობას იწყებს

„ჩელსის" ვეტერანმა ფეხბურთელმა ჯანფრანკო ძოლამ ინგლისელ ჟურნალისტებს აცნობა, რომ მომავალი ზაფხულიდან აპირებს მიიღოს უეფას მწვრთნელობის ლიცენზია და ბოლომდე ემსახუროს ფეხბურთს. ძოლა ახლა 35 წლისაა. ლონდონის კლუბთან კონტრაქტში ჩადებული ყოფილა პირობა, რომ ძოლა ფეხბურთიდან წასვლის შემდეგ ამავე კლუბში მწვრთნელად გააგრძელებდა მუშაობას. არადა, იტალიელებს მისი შინ დაბრუნების დიდი იმედი ჰქონდათ.

სურ ათზე:
ჯანფრანკო ძოლა

ჩემპიონთა ლიგა — პირველი საკვალიფიკაციო ეტაპი — საპასუხო მატჩი

აშვეთიას ცაცია „ტორპედო“ ლიგაში დაბრუნა

ქუთაისი. სტადიონი „ტორპედო“. 12.000 მაყურებელი

ტორპედო (საქართველო) — ლინფილდი (ჩრდ. ირლანდია) 1–0 (პირველი მატჩი 0–0)

ტორპედო: გვარამაძე, დიდავა, თოდუა, აბრამიძე, ქემოკლიძე, ხვადაგიანი, ახალკაცი (პარამონოვი 46), აკოფიანი, ქუთათელაძე (მახვილაძე 75), აშვეთია (გონჩაროვი 85), ასათიანი.

ლინფილდი: რობინსონი, კოლიე, მაქშეინი, პიკინგი, რ. კელი (ლარმური 75), მარქსი (სკეიტსი 66), ტორმანი, ფერგიუსონი, ნ. კელი (დ. მერფი 66), ვ. მერფი, ბეილი.

გოლი: აშვეთია (70).

გააფრთხილეს: მაქშეინი, თოდუა, ქემოკლიძე, კოლიე.

გააძევეს: ხვადაგიანი, ბეილი.

მსაჯები: ჯ. ვან ჰუტენი, ბ. ტალენტი, ა. ბრინკო, ე. ბრაგარი (ყველა — ჰოლანდია).

უეფას დელეგატი: ჰ. ფანლერი (ავსტრია).

70 წუთი ცდილობდა „ტორპედო“ „ლინფილდის“ მასირებული დაცვის გარღვევას. სტუმრების თამაშიდან გამომდინარე, ადვილი შესამჩნევი იყო, რომ ისინი მეტოქეს უფრთხოდნენ და მხოლოდ კონტრშეტევებით და ერთადერთი ფორვარდის ფერგიუსონის ოსტატობის წყალობით შეეცდებოდნენ ფონს გასვლას, მაგრამ არაფერი გამოსდიოდათ. მათ პირველ ტაიმში გვარამაძე და ქუთაისელთა დაცვა ერთხელაც ვერ შეაწუხეს. „ტორპედო“ კი უტევდა, ფლანგებიდან, ცენტრიდან, ინდივიდუალურად, მაგრამ მასპინძლებმა სამიზნე ვერ „გაისწორეს“. რობინსონი აუღელვებლად უმკლავდებოდა ქუთაისელთა ჯიუტ, მაგრამ ერთფეროვან შეტევებს. ვერც თოდუას ჩაწოდებებმა, ვერც ასათიანის, აშვეთიას და დიდავას გარღვევებმა, თუ სხვადასხვა მანძილიდან დარტყმებმა ჩრდილოეთ ირლანდიელთა დაცვას და მეკარეს ვერაფერი დააკლო. ასე გაგრძელდა მეორე ტაიმის შუამდე. თამაშის დამთავრებას ოცი წუთი აკლდა, როცა სტუმართა კარისკენ ჰოლანდიელმა არბიტრმა ჯარიმა დანიშნა. ბურთთან აშვეთია მივიდა, ცაცია მარჯვედ მოიქნია და გამარჯვების გოლი გაიტანა. მანამდე იყო ეპიზოდი, რომელსაც უფრო ადრე შეეძლო მატჩის ბედის გადაწყვეტა, თანაც სტუმართა სასარგებლოდ. შეცვლაზე შემოსულმა სკეიტსმა ახლო მანძილიდან გვარამაძეს თითქოს აუღებელი დაურტყა, მაგრამ მეკარემ ჩინებული რეაქცია გამოავლინა და ბურთი კუთხურზე უკუაგდო. მასპინძელთა დაწინაურებამ მატჩი გაამწვავა, რასაც ორი ფეხბურთელის გაძევება მოჰყვა. მსაჯმა თამაში უსაშველოდ გაწელა, ამან ისედაც გადაღლილი ფეხბურთელები უფრო გაანერვიულა, ალბათ ამას შეიძლება მივაწეროთ გვარამაძის უპატიებელი შეცდომა, როცა იგი უმართებულოდ გამოვიდა კარიდან, ბურთი ხელიდან გაუვარდა და აშკარა საგოლე მომენტი შექმნა საკუთარ კართან. შემდგომ ეპიზოდში კი კარიდან გამოსვლა დაიგვიანა, თუმცა ბურთს მაინც დაეუფლა. „ტორპედოს“ ბედმა გაუღიმა. ერთი გოლი გამარჯვებისთვის საკმარისი აღმოჩნდა, თუმცა, გონჩაროვს შეეძლო ბოლო წუთზე ანგარიში ორამდე გაეზარდა, მაგრამ მეკარესთან პირისპირ, უმეთვალყურეოდ დარჩენილმა უხეიროდ დაარტყა. ქუთაისელებმა წვალებით, მაგრამ მაინც მოიგეს და ერთ კვირაში საკვალიფიკაციო მეორე ეტაპზე პირველ მატჩში დანიის ჩემპიონს „კოპენჰაგენს“ უმასპინძლებენ. უეჭველია, ეს გუნდი „ლინფილდზე“ ბევრად ძლიერია და თუ დაცვა არ გაამაგრა და შეტევები არ გაამწვავა, ჩვენს ჩემპიონს პრობლემები შეექმნება დანიელებთან ჰიდილში. ქართულ — ჩრდილოეთ ირლანდიური შერკინება კი ისევ ჩვენი გამარჯვებით დასრულდა. „ლინფილდი“ „დინამოზეც“, „ლოკომოტივზეც“ და „ტორპედოზეც“ სუსტი გამოდგა. ქუთაისელები ლიგაში ასპარეზობას აგრძელებენ და ახლა მათ უფრო სერიოზული გამოცდის ჩაბარება მოუწევთ.

მიხეილ საბახტარიშვილი

ჩემპიონთა ლიგა, პირველი საკვალიფიკაციო ეტაპი

საპასუხო მატჩები, 18 ივლისი

ჟელეზნიჩარი (ბოსნია) — **ლევსკი (ბულგარეთი)** 0-0 (0-4)

ტორპედო (საქართველო) — ლინფილდი (ჩრ. ირლანდია) 1-0 (0-0)

ვლაჟნია (ალბანეთი) — რეიკიავიკი (ისლანდია) 1-0 (1-2)

კაუნასი (ლიტვა) — **სლოგა (მაკედონია)** 1-1 (0-0)

სლავია (მოზირი, ბელარუსი) — ვაგური (ფარერები) 5-0 (0-0)

ლევადია (ესტონეთი) — **ბოჰემიანსი (ირლანდია)** 0-0 (0-3)

შამქირი (აზერბაიჯანი) — **ბერი თაუნი (უელსი)** 0-1 (0-2)

ჰაკა (ფინეთი) — ვალეტა (მალტა) 5-0 (0-0)

სკონტო (რიგა) — დუდელანჟი 0-1 (6-1)

შერიფი (მოლდოვა) — არაქსი (სომხეთი) 2-0 (1-0).

მეორე საკვალიფიკაციო ეტაპი

25 ივლისი — 1 აგვისტო

ლევსკი (ბულგარეთი) — ბრანი (ნორვეგია)

ტორპედო (ქუთაისი, საქართველო) — კოპენჰაგენი (დანია)

გალათასარაი (თურქეთი) — ვლაჟნია (ალბანეთი)

სტიაუა (რუმინეთი) — სლოგა (მაკედონია)

სლავია (მოზირი, ბელარუსი) — ინტერი (ბრატისლავა, სლოვაკეთი)

ბოჰემიანსი (ირლანდია) — ჰალმსტადი (შვედეთი)

პორტუ (პორტუგალია) — ბერი თაუნი (უელსი)

ჰაკა (ფინეთი) — მაკაბი (ჰაიფა, ისრაელი)

სკონტო (ლატვია) — ვისლა (პოლონეთი)

ანდერლეხტი (ბელგია) — შერიფი (მოლდოვა)

შახტარი (დონეცკი) — ლუგანო (შვეიცარია)

ფერენცვაროში (უნგრეთი) — ჰაიდუკი (ხორვატია)

ომონია (კვიპროსი) — ცრვენა ზვეზდა (იუგოსლავია)

მარიბორი (სლოვენია) — რეინჯერსი (შოტლანდია)

ლევან მიქელაძე ჩოპ კლასის ასისტენტია

უეფა ტოპ კლასის არბიტრის წოდებას აქამდე მხოლოდ საერთაშორისო, უმაღლესი დონის — მსოფლიოსა და ევროპის ფინალური ეტაპის, ჩემპიონთა ლიგისა და უეფას თასის უმთავრესი მატჩების მთავარ მსაჯებს ანიჭებდა. ეს ტრადიცია ამიერიდან ასისტენტებზეც (თანამსაჯებზეც) ვრცელდება. 16-18 ივლისს უეფას შტაბბინაში ჩატარდა ასისტენტთა შეკრება-სემინარი, რომლის აკორდი 38 ასისტენტისთვის ტოპ კლასის ასისტენტის წოდების მინიჭება იყო. სემინარში მონაწილეობდა ქართველი ასისტენტი ლევან მიქელაძე, რომელიც დღეიდან ქართველი არბიტრებიდან პირველი ტოპ კლასის ასისტენტია, ეს ფაქტი კი ქართული სამსაჯო სკოლის საერთაშორისო დონესა და ავტორიტეტზე მეტყველებს.

ლევან მიქელაძე 11 წელია მსაჯობს ეროვნულ პირველობასა და სხვადასხვა რანგის საერთაშორისო მატჩებს. 1995 წლიდან იგი ფიფას ასისტენტია, ახლა — ტოპ კლასის წოდების მფლობელიც.

სურათზე: სემინარის მონაწილენი. მარცხნიდან: ლაიფ ლინდბერგი (შვედეთი), კურტ ერტლი (გერმანია), ანდრეს ფრისკი, მიქაელ ნილსონი (ორივე — შვედეთი) და ლევან მიქელაძე.

სიგელი რა არის, ქაღალდია, მაგრამ მაინც ყურადღებას ნიშნავს

საქართველოს სპეციალური ოლიმპიური კომიტეტის თავმჯდომარის თემურ მიქიაშვილისა და საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის სახელზე საერთაშორისო სპეციალურმა ოლიმპიურმა კომიტეტმა მადლობის სიგელი გამოაგზავნა. ფაქტის კომენტარი თემურ მიქიაშვილს ვთხოვეთ: „საქართველოს სპეციალურმა ოლიმპიურმა კომიტეტმა და სფფ-მ ერთობლივად ჩაატარა ფეხბურთის კვირეული, რომლის ძირითადი მიზანი იყო ფეხბურთის პოპულარიზაცია და განვითარება ინვალიდ მოზარდთა შორის. აპრილში „ირაოს“ საფეხბურთო სკოლის პატარა სტადიონზე უეფას ეგიდით მოწყობილ ტურნირში მონაწილეობდა 6 გუნდი და 48 ფეხბურთელი. ფოტო და ვიდეომასალა გაეგზავნა უეფას და სპეციალურ ოლიმპიურ კომიტეტს — ბრიუსელში, ევროპა-ევრაზიის ოფისში. ტურნირის მაღალი დონის დასტურად მივიღეთ მადლობის სიგელი. ტურნირის ამსახველი მასალა დაიბეჭდა „ფრანს ფუტბოლში“ და გავრცელდა ინტერნეტით.

საქართველოს სპეციალური ოლიმპიური კომიტეტი სფფ-სთან კვლავაც აგრძელებს თანამშრომლობას. გაისად, გაზაფხულზე, დაგეგმილი გვაქვს ინვალიდ მოზარდთა საგაზაფხულო ჩემპიონატი. ზემოაღნიშნული საფეხბურთო კვირეული კი ტრადიციული გახდება და კვლავ აპრილში გაიმართება. მონაწილეობას მივიღებთ ევროპის ჩემპიონატში“.



P.S. 27 ივლისიდან 5 აგვისტომდე საქართველოს სპეციალური ოლიმპიური ნაკრები ჩოგბურთში მონაწილეობას მიიღებს დიდი ბრიტანეთის ეროვნულ სპეციალურ ოლიმპიურ თამაშებში.

ბავშვთა ფეხბურთი

ნოდარ ახალკაცის ტურნირის მასშტაბი გაფართოვდება

დამთავრდა ქართული და საერთაშორისო ფეხბურთის თვალსაჩინო მოღვაწის, უდიდესი პიროვნების, დამსახურებული მწვრთნელის, XX საუკუნის საქართველოს საუკეთესო მწვრთნელის, ეროვნული ფეხბურთის ფედერაციის პირველი პრეზიდენტის ნოდარ ახალკაცის სახელობის თასის სამეგრელოს რეგიონის 2000-2001 წლების მესამე გათამაშება, რომელიც ჩაატარა სამეგრელოს რეგიონის ფეხბურთის ფედერაციამ. ორ წრედ 12-მა გუნდმა იასპარეზა. პირველი ადგილი დაიკავა ფოთის ნავსადგურის პროფკავშირის ბავშვთა და მოზარდთა საფეხბურთო სკოლის გუნდმა „კოლხეთმა“ (მწვრთნელები ზვიად ნოდია, გურამ იმნაძე. სკოლის დირექტორი ამირან შელიქია, ფეხბურთის საქალაქო ფედერაციის პრეზიდენტი ბორის ბარამია, ნავსადგურის უფროსი ჯემალ ინიაშვილი, პროფკომიტეტის თავმჯდომარე მალხაზ ჩილაჩავა). გამარჯვებულს გადაეცა რეგიონის ფეხბურთის ფედერაციის მიერ დაწესებული ნ. ახალკაცის სახელობის თასი. მეორე და მესამე ადგილები შესაბამისად დაიკავეს ზუგდიდის „ოლიმპიამ“ (მწვრთნელი ზაურ ბულია) და „ოდიშმა“ (მწვრთნელები ოთარ თუთბერიძე, ოთარ ძალამიძე).

1. კოლხეთი ფოთი	22	20	0	2	80-12	60
2. ოლიმპია ზუგდიდი	22	20	0	2	80-12	60
3. ოდიში ზუგდიდი	22	18	1	3	52-10	55
4. კოლხეთი2 ფოთი	22	12	2	8	25-22	38
5. ეგრისი სენაკი	22	10	4	8	40-33	34
6. ფაზისი ფოთი	22	10	4	8	30-26	34
7. მაგუ ზუგდიდი	22	9	2	11	32-49	29
8. ოდიში2 ზუგდიდი	22	9	1	12	42-42	28
9. კოლხეთი XXI ფოთი	22	6	1	15	24-51	19
10. სქური წალენჯიხა	22	6	0	16	28-49	18
11. ენგური ჯვარი	22	3	2	17	18-81	11
12. შევარდენი სენაკი	22	1	1	20	6-70	4

შენიშვნა: პირველი, მეორე, მეხუთე, მეექვსე ადგილები განაწილდა ურთიერთშეხვედრათა შედეგებით.

სურათზე: სამეგრელოს რეგიონის 2000-2001 წლების გათამაშება. ნ. ახალკაცის სახელობის თასის მფლობელი ფოთის „კოლხეთი“.

I რიგში დგანან მარცხნიდან: 1. გაბელია დათო, 2. ხარშილაძე ილია, 3. ძარია ირაკლი, 4. ხარაიშვილი ლევანი, 5. ნოდია გიორგი, 6. იმნაძე ირაკლი, 7. გაბელია კახა, 8. ღვანია იურა, 9. ჭიხვარია გურამი. *სხედან:* 1. შანიძე ილია, 2. ალექსანდრია ოთარი, 3. გელაჭეიშვილი ბორისი, 4. ალექსანდრია გიორგი, 5. კუპრეიშვილი დათო, 6. რაზმაძე ზური, 7. ხომერიკი გიგი.

მეოთხე, 2001-2002 წლების გათამაშება ჩატარდება 1989-90 წლებში დაბადებულთა შორის. იმისათვის, რომ გაიზარდოს გათამაშების მასშტაბი და ამაღლდეს ინტერესი, რეგიონის ფეხბურთის ფედერაციამ გადაწყიტა წელსვე, სექტემბერში ჩაატაროს ღია გათამაშება — მოიწვევენ აჭარის, გურიისა და იმერეთის რეგიონების ბავშვთა საფეხბურთო გუნდებს.

გელა ნაჯყებია,
გაზეთ „ლელოს“ კორესპონდენტი სამეგრელოს რეგიონში.

ქართული ფეხბურთის ისტორიიდან

მეტი სიმართლე და ობიექტურობა

ახლახან გავეცანი პრესაში გამოქვეყნებულ წერილს — „რას ეტყოდა ქართველ ფეხბურთელებს ლავრენტი ბერია?“ წერილი მთლიანად აგებულია წარსულში ცნობილი ფეხბურთელის, ამჟამად კი საქართველოს ვეტერან სპორტსმენთა კლუბის პრეზიდენტის მიხეილ ჯოჯუას მოგონებებზე. ინტერვიუში, სხვა საინტერესო საკითხებთან ერთად, ჩვენი ყურადღება მიიქცია რესპოდენტის შემდეგმა სიტყვებმა: „— 1953 წელს კი მოსკოვის „ტორპედოს“ მოვუგეთ და პირველ ადგილზე გავდიოდით, მაგრამ მეორე დღეს მატჩი გადაგვათამაშებინეს, თანაც გაგვაფრთხილეს, უნდა წააგოთო. სწორედ მაშინ გვითხრა ბერიამ — საქართველოსათვის მეორე და მესამე ადგილიც საკმარისია, პირველზე კი რუსები უნდა იყვნენო“.

დავიწყოთ იმით, რომ არასწორი და მიუღებელია კაცს ცილი დასწამო და დააბრალო ის, რაც ფაქტობრივად, არ მომხდარა, რადგან ლავრენტი ბერია 1953 წლის 4 და 7 სექტემბრის მატჩებს არ დასწრებია და, ბუნებრივია, მას არ შეეძლო ქართველი ფეხბურთელებისთვის სიტყვიერად მიემართა ან რაიმე ებრძანებინა, საქმე ისაა, რომ ლავრენტი ბერია ამ მატჩებამდე აღრე, 1953 წლის 26 ივნისს დააპატიმრეს თუ გააქრეს... შემდგომში იმდენი ბრალდება წაუყენეს, რომ ამჟამად მასზე ახალი ცილისწამების გამოგონება და მსჯავრის დადება, მკრეხელობა იქნება და მეტი არაფერი.

ცნობილია, რომ ქართველ ფეხბურთელებს საკავშირო ჩემპიონატებში და თასისთვის ბრძოლებში მონაწილეობისას ძალზე ძნელ და რთულ პირობებში უხდებოდათ თამაში. ისინი დიდხანს „უფროსი ძმებისაგან“ ხშირად განიცდიდნენ შევიწროებას და დისკრიმინაციას. მიუხედავად ამისა, ქართველი ფეხბურთელები, მათთვის დამახასიათებელი უზადო ტექნიკით, იმპრვიზაციით, ტემპერამენტით, თავდადებით და, რაც მთავარია, პატრიოტიზმით, მაინც აღწევდნენ წარმატებებს. მაგრამ 60-იან წლებამდე ერთხელაც ვერ შეძლეს საბჭოთა კავშირის ჩემპიონობის ან თასის მოპოვება. მიუხედავად ამისა, ზოგიერთი რუსი შოვინისტი ტენდენციურად აცხადებდა და ჯიუტად ამტკიცებდა, რომ თბილისის „დინამოს“ სტალინი და ბერია უწევდნენ მხარდაჭერას, წყალობას და მფარველობას.

ჯერ კიდევ 1989 წელს ნიკოლოზ სტაროსტინი თავის მოგონებებში „ძმები სტაროსტინების საქმე“ (გაზეთი „მოსკოვსკიე ნოვოსტი“ №5. 21.01. 1989 წ.), გვიმტკიცებდა, რომ 30-40-იან წლებში თბილისის „დინამოს“ ყველაზე უმაღლეს ინსტანციებში მფარველობდნენ, რომ მას პირველ რიგში სტალინი და ბერია სწყალობდნენ. სინამდვილეში კი ყველაფერი პირიქით ხდებოდა, — „უზენაესი მფარველები“ ყველაფერს აკეთებდნენ, რომ პირველები მხოლოდ და მხოლოდ დიდი რუსი ხალხის წარმომადგენლები, სახელდობრ, მოსკოველები ყოფილიყვნენ.

კიდევ ერთხელ გავიხსენოთ 1953 წლის საბჭოთა კავშირის საფეხბურთო ჩემპიონატი. იმ წელს ქვეყანაში პოლიტიკურად ძალზე გამწვავებული და გამძაფრებული ვითარება იყო, რადგან გარდაიცვალა სტალინი და სულ მალე მას ბერიაც მიაყოლეს. რთულ ვითარებას თბილისის „დინამოსთვის“ ხელი არ შეუშლია, რომ იგი სეზონის დასაწყისიდან ბოლომდე ერთპიროვნული ლიდერიც ყოფილიყო. მაგრამ მოხდა სრულიად მოულოდნელი და გაუთვალისწინებელი რამ, ჩემპიონატის დამთავრებამდე სამი ტურით აღრე თბილისელთა იმჟამინდელი უფროსი მწვრთნელი მიხეილ იაკუშინი, „ზემო ინსტანციების“ გადაწყვეტილებით, მოსკოვში დადაიყვანეს, ხოლო მის ადგილზე ბორის პაიჭაძე დანიშნეს...

1953 წელს საბჭოთა კავშირის ჩემპიონატში 11 გუნდი მონაწილეობდა. დინამოელებმა პირველ წრეში დიდ წარმატებას მიაღწიეს — 10 შეხვედრიდან 6 მოიგეს, 3 ფრედ დაამთავრეს და მხოლოდ 1 წააგეს. საბოლოოდ, თბილისელებმა პირველ წრეში 15 ქულა დააგროვეს და ერთპიროვნული ლიდერები გახდნენ. მათ მეორე წრეც თითქმის თანაბრად ჩაატარეს და 10 შეხვედრიდან 6 მოიგეს, 2 ფრედ დაამთავრეს და 2 წააგეს, საბოლოოდ კი, მეორე წრეში 14 ქულა მოაგროვეს...

1953 წლის 4 სექტემბერს თბილისის „დინამო“ ჩემპიონატის ბოლო მატჩში მოსკოვში ადგილობრივ „ტორპედოს“ შეხვდა. თამაშის მე-14 წუთზე მოსკოველთა კარში ბურთი გაიტანა იური ვარდიმიადიმ, ხოლო სულ მალე გოგი ანთაძემ ანგარიში 2-0 გახადა, თბილისელთა სასარგებლოდ. თამაშის მეორე ნახევარში მოსკოველებმა მხოლოდ ის მოახერხეს, რომ ვალენტინ ივანოვმა ერთი ბურთი გაიტანა თბილისელთა კარში და ეს დრამატიზმით აღსავსე თამაში საბოლოოდ თბილისელთა გამარჯვებით 2-1 დამთავრდა, რაც სავსებით საკმარისი იყო, რომ თბილისელები ჩემპიონები გამხდარიყვნენ, რადგან მეორე ადგილზე მყოფმა მოსკოვის „სპარტაკმა“ სამი დღის შემდეგ, 7 სექტემბერს ლენინგრადში ადგილობრივ „ზენიტთან“ 0-1 წააგო. სპარტაკელთა ამ წაგების შემდეგ მოხდა ის, რაც დღემდე ახსოვს და აღელვებს ქართველ გულშემატკივართა დიდ ნაწილს, თუ როგორ დააკარგვინეს ქართველ ფეხბურთელებს მოპოვებული ოქროს მედლები. მოხდა ის, რასაც იმ დროს არავინ ელოდა.

აი, რას წერდა 1953 წლის 8 სექტემბერს გაზეთი „სოვეტსკი სპორტი“: „სამი დღის განმავლობაში გუნდები ორჯერ გამოვიდნენ მინდორზე. პირველმა შეხვედრამ, რომელიც 4 სექტემბერს ჩატარდა, ვერ გამოავლინა ნამდვილი გამარჯვებული, მიუხედავად იმისა, რომ მსაჯმა პ. ბელოვმა (ლენინგრადი) დააფიქსირა შედეგი 2-1 თბილისელთა სასარგებლოდ. ორივე გუნდისათვის შეჯიბრების პასუხისმგებლობა და მნიშვნელობა იმდენად დიდი იყო, რომ თამაშმა მიიღო მძაფრი და უხეში ხასიათი. პ. ბელოვმა ვერ უზრუნველყო შეჯიბრების ნორმალური მსვლელობა და ვერ აღკვეთა ცალკეულ მოთამაშეთა უხეშობა. მეტიც, მსაჯმა დაუშვა რიგი სერიოზული შეცდომებისა, რამაც გავლენა იქონია შედეგზე.

ფიზიკური კულტურისა და სპორტის მთავარმა სამმართველომ განიხილა „ტორპედოს“ გუნდის პროტესტი, ჩათვალა ის დასაბუთებულად და გადაწყვიტა შეჯიბრების განმეორებით ჩატარება. მსაჯების პ. ბელოვის და პ. შირიაევის მიმართ მთავარმა სამმართველომ შესაძლებლად ჩათვალა აკმაროს საყვედურები, რადგანაც მრავალწლიან სამსაჯო პრაქტიკაში მსგავსი შეცდომები მათ მიერ პირველადაა დაშვებული. გუშინ (ე.ი. 7 სექტემბერს) განმეორებითი შეხვედრა ტორპედოელებმა განსაკუთრებით მეგობრულად ჩაატარეს: მსაჯმა ნ. ლატიშევმა, რომელმაც ასპარეზობა კარგად წარმართა, ჩაინიშნა მოსკოვის „ტორპედოს“ გამარჯვება“.

მაგრამ ყველაფერი ამით არ დამთავრებულა და ქართველებისადმი ტენდენციურად და ანტაგონისტურად განწყობილი ნ. ლატიშევი, ოთხი დღის შემდეგ, ე.ი. 11 სექტემბერს, კვლავ გამოვიდა მინდორზე, რომ ამჯერად მოსკოვის „სპარტაკისა“ და კუიბიშევის „კრილია სოვეტოვის“ შეხვედრისთვის ემსაჯა და საბოლოოდ მოსკოველებისთვის ჩემპიონობა მიელოცა. ასეც მოხდა: თამაში „სპარტაკმა“ 1-0 მოიგო და ჩენპიონობა „გაინაღდა“. აქვე დავძენთ, რომ იმჟამინდელ „სპარტაკში“ ქართული ფეხბურთის აღზრდილები ნიკიტა სიმონიანი და მიხეილ პირაევი ; მოდიოდნენ

ინტერესს მოკლებული არ იქნება თუ აღვნიშნავთ, რომ 1953 წლის 7 სექტემბერს მოსკოვის „ტორპედოსთან“ გადათამაშებაში თბილისის „დინამო“ შემდეგი შემადგენლობით თამაშობდა: ვ. მარღანია, ვ. ელოშვილი, ჯ. რუსაძე (ნ. გოგლიძე), ნ. გაგნიძე, რ. მახარაძე, გ. ანთაძე, ა. კოტრიკაძე, კ. გაგნიძე, ი. ვარდიმიადი, ა. ღოღობერიძე და ა. ჭკუასელი. რაც შეეხება მ. ჯოჯუას, მან თბილისის „დინამოში“ გამოსვლა ჯერ კიდევ 1953 წლის 30 ივნისს ლენინგრადში „ზენიტთან“ შეხვედრაში დაამთავრა.

ის მატჩი თბილისელებმა 1-2 წააგეს. ასე რომ, მ. ჯოჯუა „ტორპედოსთან“ იმ ავადსახსენებელი თამაშების მონაწილე ვერ იქნებოდა.

1953 წლის 19 სექტემბერს გაზეთ „სოვეტსკი სპორტში“ ნ. ლატიშევი წერდა: „წლეულს თბილისის დინამოელებმა წარმატებას მიაღწიეს. დაიკავეს რა პირველ წრეში ლიდერის ადგილი, მათ რამდენადმე ცუდად წარმართეს მეორე წრის თამაშები და ჩემპიონებს ჩამორჩნენ“... აი, ასეთი იყო ბედის ირონია, დაცინვა და ცინიზმი, რადგან, როგორც ზემოთ აღვნიშნე, თბილისის „დინამომ“ იმ წელიწადს ჩემპიონატის ორივე წრე სტაბილურად და თანაბრად ჩაატარა...

გავიდა ხანი და თითქოს დავიწყებას მიეცა ავადსახსენებელი საფეხბურთო პერიპეტიები, მაგრამ 1987 წლის 21 ოქტომბერს გაზეთმა „სოვეტსკი სპორტმა“ კვლავ გაგვახსენა ის დრმატიზმით აღსავსე მოვლენები, როდესაც ასე უსირცხვოდ და უტიფრად რომ დაგვაკარგვინეს ოქროს მედლები. აი, რას წერდა „სოვეტსკი სპორტი“ სარედაქციო წერილში „ფეხბურთის მატიანის გვერდები“: „... თბილისის „დინამო“ თამაშობდა მოსკოვში, „ტორპედოს“ წინააღმდეგ. მაშინ, როცა ანგარიში იყო 2-1 თბილისელთა სასარგებლოდ, თამაში შეწყდა მაყურებელთა უდისციპლინო საქციელის გამო. დებულების თანახმად, მატჩი გადათამაშდა და ტორპედოელებმა გაიმარჯვეს. ეს წაგება თბილისელებს ძვირად დაუჯდათ, რადგან „სპარტაკმა“ ბოლო ორი თამაში მოიგო და საბოლოოდ „დინამოს“ ორი ქულით გაუსწრო“.

გაზეთ „სოვეტსკი სპორტი“ ამ წერილით თავიდან ბოლომდე ცრუობდა და შეცდომაში შეჰყავდა მრავალმილიონიანი გულშემატკივარი, რადგან რეალური სინამდვილის ფაქტები წინასწარგანზრახვით გაყალბებული და ფალსიფიცირებულია.

„სოვეტსკი სპორტის“ ბოროტგანმზრახველი წერილის საწინააღმდეგო და დაპირისპირებული შინაარსისაა წარსულში ერთ-ერთი უძლიერესი ფეხბურთელის, ამ გულღვარძლიანი მატჩის უშუალო მონაწილის ვლადიმერ ელოშვილის სიტყვები: „... ორმოცდაცამეტში კი პირველ ადგილზე გავდიოდით... ოქროს მედლები უნდა აგვღო... ჩემპიონატი დასასრულს უახლოვდებოდა. ბოლო თამაშები ტარდებოდა. „სპარტაკი“ „ზენიტმა“ დაამარცხა, ჩვენ კი მოსკოვის „ტორპედოს“ მოვუგეთ. ოქროს მედლები ჩვენი გვეგონა, მაგრამ... რატომღაც „ტორპედოსთან“ მატჩი გადაგვათამაშებინეს, ორი მოთამაშე მინდვრიდან გაგვიძევეს. ცხრანი დავრჩით თერთმეტის წინააღმდეგ. ცალკე ბოლმა გვახრჩობდა. ერთი სიტყვით, წავაგეთ თამაში. ეჰ, რას იზამ, ძველი ამბავია“ (გაზეთი „თბილისი“, №289. 17.12.87 წ.)

აქვე მოგვყავს ამონარიდი წარსულში სახელგანთქმული მწვრთნელის მიხეილ იაკუშინის წიგნიდან „ფეხბურთის მარადიული საიდუმლო“: „1953 წელს (საუბარია თბილისის დინამოელებზე — *გ.ჩ.*) გადავწყვიტეთ გვებრძოლა ჩემპიონობის ტიტულისთვის. და მოვიპოვებდით კიდეც გაუთვალისწინებელი გარემოებანი რომ არ ყოფილიყო: პირველ რიგში, როგორც ვთქვი, პირველობის დამთავრებამდე სამი თამაშით აღრე, როდესაც გუნდი ლიდერობდა, მე გადამიყვანეს მოსკოვის „დინამოში“. გარემოება ისეთი შეიქმნა, უფლება არ მქონდა უარი მეთქვა.

ჩემპიონატის გადამწყვეტ მატჩს მოსკოვის „ტორპედოსა“ და თბილისის „დინამოს“ შორის მოსკოვის „დინამოს“ სტადიონზე ვუყურებდი, როგორც ნეიტრალური პიროვნება.

თბილისელმა ფეხბურთელებმა მატჩი პირწმინდად მოიგეს ანგარიშით 2-1, მაგრამ თამაშის ბოლოს მინდორზე გადმოცვივდნენ მოხულიგნო მაყურებლები, რომლებიც მსაჯებისადმი უკმაყოფილებას გამოთქვამდნენ. შემდეგ მათ ტრიბუნების ქვეშ სადგომში შეაღწიეს და თავხედურ საქციელს გამომწვევად აგრძელებდნენ. ამჟამად მოქმედი წესების თანახმად, წესრიგის არაუზრუნველყოფისათვის საფეხბურთო მინდვრის მასპინძლებს უსიტყვოდ ჩაუთვლიდნენ წაგებას. საჭირო იყო მაშინაც იგივე გადაწყვეტილება მიეღოთ. მაგრამ სრულიად მოულოდნელად, ვითომდა მსაჯობისას დაშვებული შეცდომებისათვის „ტორპედოს“ პროტესტზე, რომელიც არ უნდა მიეღოთ, აპელაციის შემდეგ გადაწყვიტეს... მატჩი გადათამაშებულიყო. უსამართლობა ცხადი იყო. სამი დღის შემდეგ, მორალურად გატეხილმა თბილისელებმა მატჩი დათმეს ანგარიშით 1-4. საბოლოოდ გუნდი დაჯილდოვდა მხოლოდ ვერცხლის მედლებით“ (მ. იაკუშინი. „ფეხბურთის მარადიული საიდუმლო“. მოსკოვი. 1988 წ.).

აი, როგორ „მოპარეს“ 1953 წელს თბილისის დინამოელებს ოქროს მედლები და რა ხერხით და გზებით გახადეს საბჭოთა კავშირის ჩემპიონად მოსკოვის სპარტაკელები...

თვითმხილველები, ქამთაღმწერლები და სტატისტიკოსები, როდესაც ამა თუ იმ საფეხბურთო ბატალიებზე ლაპარაკობენ, გულწრფელები, მართლები და ობიექტურები უნდა იყვნენ, რომ მათ ფეხბურთის მრავალრიცხოვანი თაყვანისმცემლები შეცდომაში არ შეიყვანონ.

ალბათ, ზოგიერთი სკეპტიკოსი იტყვის, რა დროს ძველი ამბების გახსენებაა და „მას ნუღარ ვსტირით, რაც დაკარგულია“, მაგრამ ჩვენი ვალია ამჟამინდელმა თაობამ და მომავალმა ახალგაზრდებმა ყველაფერი იცოდნენ, თუ რანი ვიყავით ადრე, როგორ გვექცეოდნენ, რა დისკრიმინაციულ პირობებში გვიხდებოდა მოღვაწეობა და რა გზით წყდებოდა ჩვენი ბედი არა მარტო ფეხბურთში, არამედ, საერთოდ, ცხოვრებაში.

ახლა, როდესაც „ჩვენი თავი, ჩვენვე გვეყუდნის“, ვართ უეფა-ს და ფიფა-ს მუდმივი წევრები, ყველამ, ვისთვისაც ძვირფასია ქართული ფეხბურთი, ყველაფერი უნდა გააკეთოს მისი განვითარების და წარმატებებისთვის. ჩვენს სტადიონებმა ისევ უნდა დაიბრუნოს მაყურებელი და გახადოს საფეხბურთო ზეიმის მონაწილე. ქართველმა ფეხბურთელებმა კვლავ აალაპარაკონ მსოფლიო საფეხბურთო სამყარო — ფეხბურთის გრანდებთან მიღწეული წარმატებებით.

გურამ ჩხიკვაძე

საზღვარგარეთის ფეხბურთის ამბები

რა ელის ჯინჭარაძეს „სოკოლში“?

სარატოვის „სოკოლი“ რუსეთის ჩემპიონატში დებიუტანტის კვალობაზე ძალიან კარგად თამაშობს, მაგრამ, რა თქმა უნდა, არც შემადგენლობის გაძლიერებაზე ამბობს უარს.

როგორც გუნდის მთავარმა მწვრთნელმა ალექსანდრე კორეშკოვმა განაცხადა, მას იმედი აქვს ახლახან მიწვეულ ბულგაკოვის (მოსკოვის „სპარტაკიდან“) და პაატა ჯინჭარაძისა, რომელიც ჯერ თბილისის „დინამოში“, შემდეგ კი ქუთაისის „ტორპედოში“ გამოდიოდა.

როგორც მკითხველს მოეხსენება, „სოკოლის“ შემადგენლობაში გამოდის აგრეთვე ქართველი მეკარე ზურაბ სანაია.

ვინ დაარქვა მეკარეს „სბიქიური უბედურება“?

ბირმინგემის „ასტონ ვილას“ კარს საიმედოდ იცავს ცნობილი გოლკიპერი დევიდ ჯეიმსი, ისე კი, ძალზე უსიამოვნო მეტსახელი აქვს — „სტიქიური უბედურება“.

ვინ დაარქვა, რატომ?

ადრე იგი „ლივერპულში“ თამაშობდა, საერთოდ, ძალიან კარგად, მაგრამ ზოგჯერ უნებლიე მძიმე შეცდომები მოსდიოდა, რაც გუნდს ძვირად უჯდებოდა. ერთ-ერთი ასეთი მარცხის შემდეგ „ლივერპულის“ მაშინდელმა მწვრთნელმა როი ევანსმა საერთოდ დაკარგა მოთმინება და თქვა: „ვის შეგვიძლია ჩვენ ამის შემდეგ მოვუგოთ, როცა კარში ასეთი „სტიქიური უბედურებაა“! ამის შემდეგ ჯეიმსს ეს უსიამოვნო სახელი დაერქვა. იგი ძალიან გრძნობიერი ადამიანია და ყოველგვარ კრიტიკას გულთან ახლოს იღებდა. ამან, შეცდომების რიცხვი მოამრავლა კიდეც. „მე როგორ უნდა ვითამაშო, როცა ასე მამტყუნებენ, აშკარად ლაპარაკობენ იმაზე, ვინ უნდა შემცვალოს. ეს მე ზიანს მაყენებს“.

საინტერესოა, რომ ჯეიმსს ინგლისის ნაკრებში მიწვევამაც კი არ უშველა, სადაც იგი პირველი შავკანიანი მეკარე გახდა. რახან „ლივერპულში“ აღარ დაედგომებოდა, დასტოვა კლუბი და „ასტონ ვილაში“ გადავიდა, სადაც ორი კარგი სეზონი გაატარა. მეკარეს მორალური მდგომარეობა აშკარად გამოსწორდა. „ვიგრძენი, რომ ბირმინგემში მენდობიან. მას შემდეგაც კი, რაც ინგლისის 2000 წლის თასის ფინალში მძიმე შეცდომა მომივიდა, რის შედეგადაც წავაგეთ კიდეც, ჩემთვის საყვედურის სიტყვა არავის უთქვამს, პირიქით, მხარი დამიჭირეს კიდეც“.

ახლა დევიდ ჯეიმსს სისტემატურად იწვევენ ინგლისის ნაკრების შეკრებებზე, ხოლო „პარმამ“ მასში „ასტონ ვილას“ 5 მილიონი დოლარიც კი შესთავაზა.

„ბაზა კი არა, უფრო ხუთვარსკვლავიანი სასტუმროა!“

კიევის „დინამოს“ საფეხბურთო ბაზა ახლა ერთ-ერთი საუკეთესოა ევროპაში.

ამ დღეებში კიევის „დინამოდან“ მოსკოვის ცსკა-ში გადავიდა ნოვოროსიისკის „ჩერნომორეცის“ ყოფილი ფეხბურთელი ვლადიმირ კუზმიჩევი. იგი ადრე თავდამსხმელი იყო.

● *კიევში რომელ პოზიციაზე თამაშობდით,*

— ეჰ, მე თვითონ რომ ვიცოდე! რომელ პოზიციაზე აღარ ვითამაშე ლობანოვსკის გუნდში. ეს კია, რომ მეკარე და უკანასკნელი მცველი არ ვუოფილვარ.

კითხვაზე, რა მოეწონა ყველაზე მეტად კიევში, ფეხბურთელმა ასე უპასუხა:

— ბაზა. მე იგი დამე მესიზმრება. ეს ბაზა კი არა, უფრო ხუთვარსკვლავიანი სასტუმროა!

ჭკვიანად იყავით, არ გაგაძევონ!

მოსკოვის „სპარტაკის“ უფროსმა მწვრთნელმა ვიაჩესლავ გროზნიმ, რომელსაც მთავარ მწვრთნელ ოლეგ რომანცევის უარის გამო (რას იზამ, ფულად ჯარიმებსაც იხდის) უხდება მატჩის შემდეგ პრეს-კონფერენციებზე გამოსვლა, განაცხადა:

— ჩვენ არ ვაპირებთ აღმზრდელობითი მუშაობის წარმართვა: საბავშვო ბაღის დონეზე. შირკო გააძევეს და სანამ დისკვალიფიკაციის ვადის გასვლას დაელოდება, მისი ადგილი შეიძლება სხვებმა დაიკავონ. ამასობაში კი, „სპარტაკი“ სულ უფრო „შავდება“. ახლა მის რიგებში უნდა ჩაირიცხოს მსოფლიოს ვიცე-ჩემპიონი ახალგაზრდებს შორის, განელი დერეკ ბუაკენგი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბავშვთა ფეხბურთი

ის, რაც რკინიგზელებისათვის ჩვეულებრივი ამბავია, დეფიციტია საქართველოში

თბილისის „ლოკომოტივი“ დედაქალაქის ჩემპიონია. ნორჩმა რკინიგზელებმა ახლახან დასრულებული 10-გუნდიანი ტურნირი მოიგეს. მცირე ზომის მინდორზე (50X25, ტაიმის ხანგრძლივობა 25 წუთი) ორ წრედ მიმდინარე შეჯიბრება გუნდმა თითქმის უდანაკარგოდ განვლო, 18 მატჩიდან 17 მოიგო და ერთი ფრედ დაასრულა. ეროვნული კატეგორიის მსაჯის, ფიფას ასისტენტ ვახტანგ ჩოჩიშვილის 9-10 წლის შეგირდებმა ბრწყინვალედ იასპარეზეს. ჩემპიონატის საუკეთესო ბომბარდირები გახდნენ მიხეილ კალიანდრა და ლაშა სანოძე — 23-23 გოლი. ვახტანგ ჩოჩიშვილი სამი წელია საფეხბურთო კლუბ „ლოკომოტივთან“ არსებულ ნორჩ ფეხბურთელთა გუნდს წვრთნის. ამ ხნის განმავლობაში, 1991/92 წლებში დაბადებულმა ჭაბუკებმა არაერთი შინაური ტურნირი მოიგეს. ის, რომ ასეთი გუნდი არსებობს და კარგ შედეგებს აღწევს, კიდევ ერთი დასტურია იმ ყურადღება-თანადგომისა, რასაც „ლოკომოტივის“ თავკაცები, უპირველესად აკაკი ჩხაიძე, ტარიელ ღვაბერიძე და მათი თანამშრომლები იჩენენ ფეხბურთისადმი. რაც მთავარია, რკინიგზელები მარტო დიდი ფეხბურთით და სტადიონის მშენებლობით არ იფარგლებიან და კლუბს, მთლიანად ქართულ ფეხბურთს, შესანიშნავ ახალგაზრდა თაობას უზრდიან. დასანანი მხოლოდ ის არის, რომ ფეხბურთზე მსგავსი მზრუნველობის დეფიციტია საქართველოში.

სურათზე: დედაქალაქის ჩემპიონი — თბილისის „ლოკომოტივი“
მარცხნიდან პირველი რიგში: ირაკლი ხუჭუა, მახო მაჭუტაძე, ლაშა კალანდაძე, თემურ შარაშენიძე, ლევან რეხვიაშვილი, მიხეილ კალიანდრა, გიორგი ნადირაძე, თორნიკე მოსიაშვილი;
მეორე რიგში: გიორგი მარგიანი, გოგი ვალნერი, თორნიკე თადუმაძე, ვახტანგ ჩოჩიშვილი (მწვრთნელი), თემურ ვაჩანაძე, მიშა კალანდაძე, ნუგზარ ჭანკვეტაძე;
მესამე რიგში: დიტო კაპანაძე, ლაშა სანოძე, ლევან დავიდიანი, გივი ხუციშვილი, გიორგი. მაისურაძე, გიორგი ჭსოვრელი.

ბონდო გიორგაძის სახელობის მემორიალში გამარჯვებული ბათუმის „ნორჩი დინამოელი“ — შუაში მწვრთნელი ტარიელ ჯიშმარია.

თქვენთვის, ერუდიტებო!

1. ვინ იყო ხუპერთასის პირველი მფლობელი:
ა) „აიაქსი“
ბ) „ბაიერნი“
გ) „ბარსელონა“

2. ვინ იყო ყველაზე ხნიერი „ოქროს ბურთის“ მფლობელი ფეხბურთელი:
ა) ლევ იაშინი
ბ) სტენი მეტიუზი
გ) ალფრედო დი სტეფანო

3. რომელი ფეხბურთელის ზედმეტი სახელია „კონდორი“:
ა) სამორანო
ბ) ჟინოლა
გ) ვანჩოპე

4. ვინ გახდა 1996 წლის ჩემპიონთა ლიგის საუკეთესო ბომბარდირი:
ა. დელ პიერო
ბ) რაული
გ. ი. ლიტმანენი

5. რამდენი მაყურებელი დაესწრო 1981 წლის თასის მფლობელთა თასის ფინალურ შეხვედრას:
ა) 45 000
ბ) 10 000
გ) 27 000

ᲬᲘᲜᲐ ᲜᲝᲛᲠᲘᲡ ᲞᲐᲡᲣᲮᲔᲑᲘ:
1 — ბ 2 — ა, 3 — გ, 4 — ა, 5 – ა.

ᲪᲘ�გᲔ – „ᲢᲝᲢᲔᲜᲰᲔᲛᲨᲘ“

„ტოტენჰემის“ მწვრთნელმა გლენ ჰოდლმა განაცხადა, რომ გერმანიის ნაკრებისა და „ლივერპულის“ ყოფილი ფეხბურთელი კრისტიან ციგე ამიერიდან „ტოტენჰემის“ მოთამაშეა. კლუბმა ამ ფეხბურთელში 6,3 მილიონი დოლარი გადაიხადა.

100 000 ᲓᲝᲚᲐᲠᲘ ᲣᲙᲠᲐᲘᲜᲘᲡ ᲘᲣᲜᲘᲝᲠᲗᲐ ᲜᲐᲙᲠᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲞᲠᲘᲖᲝ ᲐᲓᲒᲘᲚᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ

უკრაინის ფეხბურთის ფედერაციამ 100 000 დოლარი გამოუყო ჯილდოდ უკრაინის იუნიორთა ნაკრებს, თუ ის გავა საპრიზო ადგილზე ევროპის ჩემპიონატში, რომელიც დაიწყება 21 ივლისს ფინეთში. ეს თანხა ფედერაციის პრეზიდენტმა გრიგორი სურკისმა დაასახელა მწვრთნელებთან შეხვედრაზე საწვრთნელ ბაზაზე კონჩას-ზასპეში. ხოლო თუ ნაკრები ჩემპიონი გახდება, პრემიალური თანხა რამდენჯერმე გაიზრდება. ჭაბუკების მწვრთნელმა ვალენტინ ლუცენკომ კი განაცხადა, რომ მთავარი ამოცანაა ჯგუფიდან გასვლა, სადაც უკრაინის ნაკრებთან ერთად ასპარეზობენ: ფინეთის, იუგოსლავიისა და ჩეხეთის ნაკრებები. მეორე ჯგუფს კი შეადგენს: პოლონეთი, ესპანეთი, ბელგია და დანია.

A ᲯᲒᲣᲤᲘ

კოლუმბია — ჩილე 2-0
არისტისაბალი (9 პენ), არიაგა (89)
ეკვადორი — ვენესუელა 4-0
დელგადო (18), ფერნანდესი (28), მენდესი (59), დელგადო (63)

	თ.	მ.	ფ.	წ.	ბ.	ქ.
კოლუმბია	3	3	0	0	5-0	9
ჩილე	3	2	0	1	5-3	6
ეკვადორი	3	1	0	2	5-5	3
ვენესუელა	3	0	0	3	0-7	0

B ᲯᲒᲣᲤᲘ

ბრაზილია — პარაგვაი 3-1
0-1 ალვარენგა (11 პენ), 1-1 ალექსი (60), 2-1 ბელეტი (90), 3-1 დენილსონი (90).
პერუ — მექსიკა 1-0
ოლსენი (48)

ბრაზილია	3	2	0	1	5-2	6
მექსიკა	3	1	1	1	1-1	4
პერუ	3	1	1	1	4-5	4
პარაგვაი	3	0	2	1	4-6	2

C ᲯᲒᲣᲤᲘ

ურუგვაი	2	1	1	0	2-1	4
კოსტა-რიკა	2	1	1	0	2-1	4
ჰონდურასი	2	1	0	1	2-1	3
ბოლივია	2	0	0	2	0-3	0

ჩილე–კოლუმბია

ᲕᲘᲜ ᲠᲐᲛᲓᲔᲜᲘ ᲛᲘᲚᲘᲝᲜᲘ ᲦᲘᲠᲡ

მოთამაშე	წელი	ყოფილი გუნდი	ახალი გუნდი	თანხა
ზინედინ ზიდანი	2001	„იუვენტუსი“	„რეალი“	66,2 $
ლუიშ ფიგუ	2000	„ბარსელონა“	„რეალი“	56,1 $
ერნან კრესპო	2000	„პარმა“	„ლაციო“	54,1 $
კრისტიან ვიერი	1999	„ლაციო“	„ინტერი“	50,0 $
ჯანლუიჯი ბუფონი	2001	„პარმა“	„იუვენტუსი“	45,9 $
გაისკა მენდიეტა	2001	„ვალენსია“	„ლაციო“	41,0 $
ხუან ვერონი	2001	„ლაციო“	„მანჩესტერი“	39,5 $
ნიკოლია ანელკა	1999	„არსენალი“	„რეალი“	35,7 $
მარკ ოვერმარსი	2000	„არსენალი“	„ბარსელონა“	35,5 $
ლილიან ტიურამი	2001	„პარმა“	„იუვენტუსი“	35,4 $
პაველ ნედვედი	2001	„ლაციო“	„იუვენტუსი“	35,2 $
დენილსონი	1997	„სან-პაულუ“	„ბეტისი“	35,0 $
რუი კოშტა	2001	„ფიორენტინა“	„მილანი“	34,9 $
გაბრიელ ბატისტუტა	2000	„ფიორენტინა“	„რომა“	33,8 $
მარისიუ ამორუზო	1999	„უდინეზე“	„პარმა“	33,1 $

რაული – ᲩᲔᲛᲠᲘᲝᲜᲗᲐ ᲚᲘᲒᲘᲡ ᲡᲐᲣᲙᲔᲗᲔᲡᲝ ᲗᲐᲕᲓᲐᲛᲡᲮᲛᲔᲚᲘ

მადრიდის „რეალის“ თავდამსხმელი რაული (სურათზე) მეორე წელია ზედიზედ დასახელდა ჩემპიონთა ლიგის საუკეთესო თავდამსხმელად. 24 წლის ფეხბურთელმა ლიგის შარშანდელ გათამაშებაში 7 ბურთი გაიტანა და მის ანგარიშზე სულ ჩემპიონთა ლიგაში 28 გოლია.

ჯილდოს რაულს გადასცემენ ჩემპიონთა ლიგის წილისყრაზე მონტე-კარლოში 23 აგვისტოს.

რაული

ᲩᲔᲛᲠᲘᲝᲜᲐᲢᲔᲑᲘ, ᲛᲐᲢᲩᲔᲑᲘ, ᲨᲔᲓᲔ�გᲔᲑᲘ...

ᲠᲣᲡᲔᲗᲘ

ცსკა — სპარტაკი 1-1
ჩერნომორეცი — როტორი 2-3
სოკოლი — როსტსელმაში 1-1
ზენიტი — ტორპედო ზილი 4-0
ლოკომოტივი — სატურნი 1-1
ანჟი — ფაკელი 2-2
ალანია — დინამო 3-3
ტორპედო — კრილია სოვეტ. 0-4

	თ.	მ.	ფ.	წ.	ბ.	ქ.
კრილ.სოვეტ.	17	10	3	4	23-9	33
სპარტაკი	17	9	5	3	22-13	32
ლოკომოტ.	17	9	4	4	28-12	31
ზენიტი	17	9	4	4	27-21	31
ტორპედო	17	8	5	4	31-21	29
სოკოლი	17	8	5	4	21-22	29
ცსკა	17	7	6	4	20-13	27
სატურნი	17	6	5	6	19-13	23
როსტსელ.	17	6	3	8	16-17	21
დინამო	17	5	6	6	21-23	21
ანჟი	17	4	7	6	13-14	19
ალანია	17	5	3	9	16-26	18
ფაკელი	17	4	4	9	16-22	16
როტორი	17	4	4	9	17-25	16
ტორპ.ზილი	17	3	5	9	12-26	14
ჩერნომორ.	17	2	5	10	9-34	11

ᲤᲘᲜᲔᲗᲘ

ჯაზი — ვაასა 2-2
კუოპიო — ჰიკი 0-4
ლაჰტი — ატლანტისი 2-2
მიუპა — ინტერი 2-1
როვანიემი — იოკერიტი 3-1

მიუპა	18	10	6	2	30-15	36
ტამპერე	17	11	3	3	30-21	36
ჰიკი	18	8	8	2	32-12	32
ჰაკა	18	8	5	5	27-17	29
ინტერი	18	8	4	6	28-25	28
ატლანტისი	18	6	6	6	25-26	24
ლაჰტი	17	5	5	7	22-25	20
ვაასა	17	6	2	9	20-24	20
კუოპიო	17	4	6	7	11-23	18
როვანიემი	17	4	5	8	15-22	17
იოკერიტი	19	4	5	10	21-35	17
ჯაზი	16	1	5	10	11-27	8

ᲨᲕᲔᲘᲪᲐᲠᲘᲐ

სიონი — არაუ 0-1
გრასხოპერი — იანგ ბოისი 1-1
ლოზანა — ციურიხი 1-1
ლუცერნი — ლუგანო 1-2
სერვეტი — ქსამაქსი 2-0
სენტ გალენი — ბაზელი 3-3

სიონი	4	2	1	1	9-2	7
ციურიხი	3	2	1	0	6-3	7
ლუგანო	4	2	1	1	8-6	7
არაუ	3	2	0	1	4-3	6
იანგ ბოისი	3	1	2	0	5-4	5
სტ. გალენი	3	1	1	1	8-6	4
გრასხოპერი	3	1	1	1	5-6	4
ბაზელი	3	1	1	1	7-12	4
სერვეტი	3	1	0	2	3-5	3
ქსამაქსი	3	0	2	1	0-2	2
ლუცერნი	3	0	1	2	3-5	1
ლოზანა	3	0	1	2	3-7	1

ᲐᲕᲡᲢᲠᲘᲐ

შტურმი — ზალცბურგი 1-0
ტიროლი — ბრეგენცი 5-0
ადმირა — კარნეტი 0-1
აუსტრია — გრაცერი 2-3
რიდი — რაპიდი 2-2

ტიროლი	2	2	0	0	7-0	6
რაპიდი	2	1	1	0	5-3	4
რიდი	2	1	1	0	4-3	4
კარნეტი	2	1	0	1	2-2	3
გრაცერი	2	1	0	1	3-4	3
შტურმი	2	1	0	1	2-3	3
ბრეგენცი	2	1	0	1	1-5	3
აუსტრია	2	0	1	1	2-3	1
ზალცბურგი	2	0	1	1	0-1	1
ადმირა	2	0	0	2	0-2	0

ᲐᲛᲮᲜᲐᲒᲣᲠᲘ ᲛᲐᲢᲩᲔᲑᲘ

„მეცი“ (საფრანგეთი) — „ანდერლეხტი“ (ბელგია) 4-2
1-0 იაგერი (14), 2-0 პრომანი (28), 3-0 პიერი (37), 4-0 სორენო (57), 4-1 იაშუკი (66), 4-2 სეოლი (71).

ტაილანდი (ნაკრები) — „ლივერპული“ 1-3
0-1 ოუენი (8), 1-1 ბორიბანი (22), 1-2 ოუენი (45), 1-3 ბარმბი (71).

ᲑᲠᲐᲖᲘᲚᲘᲐᲪ ᲐᲠᲘᲡ ᲓᲐ ᲑᲠᲐᲖᲘᲚᲘᲐᲪ

ბრაზილიის ნაკრები ამერიკის თასის ახლანდელ გათამაშებაში, თქმა არ უნდა, ექსპერიმენტული შემადგენლობით მონაწილეობს

აი ისიც: მეკარეები — მარკოსი („პალმეირასი“) და დიდა („მილანი“). დაცვა — ალესანდრო („ატლეტიკო პარანაენსე“), ბელეტი („სან-პაულუ“), ეუნიორი („პარმა“), როქერი („გრემიო“), ეუანი („ფლამენგო“), კრისი („კრუზეირო“), როკე ეუნიორი („მილანი“), ლუსიო (ლევერკუზენის „ბაიერი“), შუა ხაზი — ემერსონი („რომა“), როშემბაკი („ბარსელონა“), ედუარდო კოსტა („გრემიო“), მაურო სილვა („ლა-კორუნიას „დეპორტივო“), ეუნინიო („ვასკო და გამა“), ალექსი („პარმა“), ეუნინიო პერნამბუკანო („ლიონი“), თავდასხმა — ჟარდელი (მარსელის „ოლიმპიკი“), ჯოვანი („ბარსელონა“), ევერტონი („კორინთიანსი“), დენილსონი (სევილიის „ბეტისი“), ელბერი („ბაიერნი“).

ახლა კი შევადაროთ ეს შემადგენლობა იმ განაცხადს, რომელიც ლუის ფელიპე სკოლარიმ წარადგინა მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევ ჯგუფში სათამაშოდ:

მეკარეები — მარკოსი და დიდა. დაცვა — კაფუ („რომა“) ბელეტი, რობერტო კარლოსი (მადრიდის „რეალი“), სერჟინიო („მილანი“), ანტონიო კარლოსი („რომა“), როკე ეუნიორი, კრისი, ლუსიო. შუა ხაზი — მაურო სილვა, ემერსონი, როშემბაკი, რივალდო („ბარსელონა“), ალექსი, ეუნინიო. თავდასხმა — ფულერი („ვასკო და გამა“), ევერტონი, ჯოვანი, რომარიო („ვასკო და გამა“), ჟარდელი, ელბერი.

ხედავთ, რა განსხვავებაა?!

ეროვნული ბიბლიოთეკა

საზღვარგარეთის ფეხბურთის ამბები

აღსარებამ ვილბორი დაამშვიდა

სილვენ ვილტორს, რომელიც დიდი დაბრკოლების შემდეგ გადავიდა „ბორდოდან“ ლონდონის „არსენალში“, მომდევნო ხანებში ძალიან გაუჭირდა ურთიერთობა არსენ ვენგერთან. ამის შემდეგ მან კლუბის შეცვლა გადაწყვიტა. ვილტორმა, რომელიც ღრმად მორწმუნე ადამიანია, მღვდელთან აღსარების შემდეგ განაცხადა:

— იმედი მაქვს, რომ ახალ სეზონში ჩემი პრობლემები გადაწყდება, უსიამოვნების პერიოდი დამთავრდება. აღსარების შემდეგ დავრწმუნდი, რომ ბევრ რამეში შეცდი, მაგრამ მოძღვარმა სწორ გზაზე დამაყენა.

ამასობაში გაირკვა, რომ „ლაციო“ „არსენალს“ ვილტორში 20 მილიონ დოლარს სთავაზობს.

„ლაციოს“ სალასი აღარ სჭირდება

განთქმული ჩილელი მარსელო სალასს, საკმაოდ მოულოდნელად, 2000-2001 წლების სეზონში არაფერი გამოუვიდა. იგი ვერც კი ხვდებოდა „ლაციოს“ ძირითად შემადგენლობაში და დროგამოშვებით თუ უხდებოდა თამაში. ამიტომ რომაულმა კლუბმა გადაწყვიტა ჩილელის გაყიდვა. მისი შეძენა კი, როგორც გაირკვა, ტურინის „იუვენტუსსა“ და მადრიდის „რეალს“ სურთ, თუმცა ჯერჯერობით კონკრეტულად არაფერია ცნობილი.

ნაკრებში ხშირად ნუ ნახვალ

ბრაზილიელ სილვიო მენდეს კამპოსს, რომელიც უფრო სილვინიოს სახელით არის ცნობილი, ლონდონის „არსენალის“ დატოვება სურს. რატომ? იგი ამბობს, რომ ძირითად შემადგენლობაში უნდა თამაში, ამის საშუალება კი ყოველთვის არ ეძლევა.

წელიწადნახევრის განმავლობაში სილვინიო მართლაც სისტემატურად გამოდიოდა „არსენალის“ ძირითად შემადგენლობაში, მაგრამ 2001 წელს საქმე ცუდად წაუვიდა. ჯერ ერთი, რამდენჯერმე დაშავდა, მართალია, არც ისე სერიოზულად. მწვრთნელ არსენ ვენგერის უკმაყოფილება უფრო იმან გამოიწვია, რომ სილვინიო ძალიან ხშირად მიემგზავრებოდა ბრაზილიის ნაკრებში სათამაშოდ. ამიტომ მარცხენა მცველის ადგილი ვენგერმა ინგლისის ნაკრების ფეხბურთელ ეშლი კოულს დაუთმო. ახლა კი „არსენალის“ შემადგენლობაში ჩაირიცხა ინგლისის ნაკრების კიდევ ერთი ცნობილი მცველი სოლ კემპბელი, რომელსაც ასევე შეუძლია მარცხენა ფრთაზე თამაში. ისე რომ, ბრაზილიელისათვის ადგილი აღარ რჩება და მან გადაწყვიტა ესპანეთში გადაბარგდეს: „ბარსელონასა“ ან „დეპორტივოში“. „ბარსელონას“ 27 წლის ბრაზილიელი სულაც არ აინტერესებს.

ასპრილიას მაინც ევროპაში ურჩევნია

ცნობილი კოლუმბიელი თავდამსხმელი ფაუსტინო ასპრილია ამ მოკლე ხანში შეიძლება ევროპაში დაბრუნდეს. ახლა მიმდინარეობს მოლაპარაკება მისი ყიდვის მსურველ ესპანურ „მალიორკასა“ და რიო-დე-ჟანეიროს „ფლუმინენსეს“ შორის, სადაც კოლუმბიელი ამ ბოლო ხანებში გამოდიოდა.

ადრე ასპრილია თამაშობდა „პარმასა“ და „ნიუკასლ იუნაიტედში“, შემდეგ კი ბრაზილიურ „პალმეირასში“.

თუ 18 წლის არ არის, ვერავინ გაყიდის

ფიფას შემოღებული ახალი წესების თანახმად, ამიერიდან აკრძალულია ფეხბურთელის გაყიდვა, რომელსაც 18 წელი არ შესრულებია.

ახლა კლუბს, უფლება აქვს ახალგაზრდა ფეხბურთელი მხოლოდ განსაკუთრებულ შემთხვევებში გაყიდოს. ვთქვათ, მშობლებმა საცხოვრებელი ადგილი გამოიცვალეს. ახლა კონტრაქტის მინიმალური ვადაა 1 წელი, მაქსიმალური — ხუთი. თუკი ხელშეკრულება სეზონის დამთავრებამდე დაირღვა, მაშინ დამნაშავე მხარე ჯარიმას გადაიხდის, ან დისკვალიფიცირებული იქნება.

ახალი წესები 1 სექტემბრიდან შედის ძალაში.

რონალდო ვარჯიშობს, ჯერჯეროობით მსუბუქად

რონალდომ მუხლის ტრავმის გამო თითქმის ორი წელი გააცდინა, ახლა ვარჯიშს შეუდგა მილანის „ინტერის“ შემადგენლობაში. ჯერჯერობით იგი შემოიფარგლა გარბენებით და ფიზიკური ვარჯიშით. შემდეგ თანდათან სრული დატვირთვით ივარჯიშებს. მან უარჰყო ხმები სხვა გუნდში გადასვლის შესახებ და თქვა, რომ ბოლოს და ბოლოს, აპირებს სკუდეტოსათვის იბრძოლოს.

— ძალიან მინდა ვიმუშაო ექტორ კუპერის ხელმძღვანელობით, — განაცხადა 25 წლის ბრაზილიელმა. მისი პირველი მატჩი 31 ივლისს ინგლისურ „უოტფორდთან“ არის დანიშნული. იტალიის ჩემპიონატისათვის, რომელიც 26 აგვისტოს იწყება, რონალდო, როგორც ფიქრობს, კარგად იქნება მომზადებული.



ბაიერნი — ჰერტა

გერმანიის ლიგის თასი

გაიმართა გერმანიის ლიგის თასის ნახევარფინალები

«ბაიერნი» — «ჰერტა» 0–1

„ჰერტა“: კირაი, რემერი (ჰარტმანი 88), შიმუნიჩი, ვან ბურიკი (კონსტანტინიდისი, 11), შმიდტი, ბაინლიხი, გოორი, დაისლერი, ალექს ალვეში (მასი 73), მარსელინიო, პრეეცი.

„ბაიერნი“: კანი, კუფური, ტიამი, ლინკე, სალიჰამიჯიჩი, ეფენბერგი, კოვაჩი (ჰარგრივზი, 70), ტარნატი (პაულო სერჟიო 46), ელბერი, ციკლერი, როკე სანტა კრუსი (დი სალვო 88).

გოლი: პრეეცი (39).

„შალკე“ — „ბორუსია“ (დორტმუნდი) 2-1.

ამრიგად, ფინალში 21 ივლისს ერთმანეთს შეხვდებიან: «შალკე» — «ჰერტა»

არც „იუვენტუსი“, არც „რომა“ და „ლაციო“



კანავარო

იტალიის ნაკრების ცნობილმა მცველმა ფაბიო კანავარომ ახალ ხუთწლიან კონტრაქტს მოაწერა ხელი „პარმასთან“. ყოველ წელს იგი დაახლოებით 5 მილიონ დოლარს მიიღებს.

ამრიგად, ვერც „იუვენტუსი“, ვერც „რომა“ და „ლაციო“, რომლებსაც ძალიან სურდათ კანავაროს გადაბირება, ვერაფერს გახდნენ.

— ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, ძალიან მინდა ჩემს უმცროს ძმასთან, პაოლოსთან ერთად თამაში, — თქვა კანავარომ და დაუმატა, რომ მას ძალიან მოსწონს „პარმაში“ ყოფნა.

ახალი სახელები

ხავი მორენო – ბრწყინვალე სეზონი „ალავესში“

ხავი მორენო ახალი ფიგურაა დიდ ევროპულ ფეხბურთში, ისე კი, იგი საკმარისად გამოცდილი მოთამაშეა (დაიბ. 1974 წლის 10 სექტემბერს პატარა ესპანურ ქალაქ სილიაში, 180 სმ, 80 კგ.), არაერთი თავგადასავლით.

იგი ესპანეთის ერთ-ერთ საფეხბურთო ცენტრ ვალენსიასთან სულ ახლოს კი დაიბადა, მაგრამ მისი ჰაბუკთა გუნდის წევრი არასოდეს ყოფილა. 15 წლის ყმაწვილი „ბარსელონის“ მწვრთნელებს მოეწონათ და 1990 წლის ზაფხულში კატალონიის დედაქალაქში აღმოჩნდა. დიახ, აღნიშნეს მისი კარგი ფიზიკური მონაცემები და სათანადო საზრიანობაც, მაგრამ მაინცდამაინც არ შეუქიათ. ის კი არადა ბარსელონას მესამე გუნდში განაწესეს, რათა იქ უფრო (ასე ფიქრობდნენ მწვრთნელები) უკეთ ევარჯიშა. „ბარსელონა C“-კი ნახევრად სამოყვარულო ლიგაში გამოდიოდა. 20 წლის მორენომ ამ კლუბში დაიწყო თამაში, პირველ სეზონში, ფაქტობრივად, მინდორზე ხეირიანად არც კი გამოსულა, მეორე წელს 19 მატჩი ითამაშა და 9 გოლი გაიტანა. 1996 წელს დააწინაურეს — უკვე „ბარსელონა B-ში გადაიყვანეს. აქ იგი 8 მატჩში 5 ბურთის ავტორი გახდა, მომდევნო წელს კი კიდევ ექვსის.

რა არ ხდება ფეხბურთში?! 1997 წელს იგი „კორდობაში“ გადაიყვანეს „ეტყობა, ეს იყო ყველაზე დრამატული პერიოდი ჩემს კარიერაში. „კორდობაში“ რომ ჩავედი, იქ მიყურებდნენ, როგორც ნამდვილ ოსტატს, რომელმაც ისეთი დიდი კლუბის სკოლა გაიარა, როგორიც „ბარსელონაა“. მე კი ვთამაშობდი, ვთამაშობდი და ერთი გოლიც კი ვერ გავიტანე! რა თქმა უნდა, მინდოდა ფეხბურთისათვის თავის დანებება, მაგრამ ოჯახის წევრებმა გადამათქმევინეს“.

„კორდობას“ მორენო მაინც შეეჩვია, საბოლოოდ 15 გოლი გაიტანა. 1997-98 წლების სეზონში „იეკლანოში“ თამაშობდა, საიდანაც ბასკურ „ალავესში“ აღმოჩნდა. ეს კლუბი „პრიმერა-დივიზიონში“ კი გადავიდა, მაგრამ მისმა მესვეურებმა იფიქრეს, ასეთ უმაღლეს დონეზე მორენო ნამდვილად არ გამოგვადგება — და იგი იჯარით მეორე დივიზიონის კლუბ „ნუმანსიას“ დაუთმეს. 1998-99 წლების სეზონი პირველი იყო, როცა მორენომ საფეხბურთო ევროპის არა, მაგრამ ესპანელი სპეციალისტების ყურადღება უდავოდ მიიპყრო. მან „ნუმანსიაში“ 38 მატჩი ითამაშა და 18 გოლი გაიტანა. ამასთან, საქმე მარტო გოლებში კი არ იყო: თავდამსხმელს ყოველმხრივი წინსვლა ჰქონდა. „ალავესის“ ხელმძღვანელობა დარწმუნდა, რომ მორენო იჯარით გასასხვისებელი არ იყო და იგი 1999-2000 წლების სეზონიდან უკანვე დაიბრუნა.

ისე ნუ ვიფიქრებთ, რომ „ალავესში“ მორენოს თაიგულებით დახვდნენ. არა, მას კიდევ ერთხელ უნდა დაემტკიცებინა თავისი ძალა. ქ. ვიქტორიაში ძირითად თავდამსხმელად საკმაოდ ხანდაზმული მოთამაშეები ხულიო სალინასი და კოდრო ითვლებოდნენ, მორენო კი მათ შემცვლელად. „მე ყოველ მატჩში გამოვდიოდი ერთ-ერთი მათგანის შემცვლელად, მაგრამ აშკარად არ მიმართლებდა. რამდენიც კი დავარტყი, კარს ავაცდინე. პარტნიორები მეხუმრებოდნენ კიდეც: შენ ფეხბურთი კი არა, რაგბი უნდა ითამაშო, იქ ხომ ასეთ დარტყმებს ჩაგითვლიანო...“ შემდეგ კი თანდათან შეეჩვია. 36 მატჩში 7 ბურთის გატანა დიდი წარმატება არ გახლავთ, მაგრამ, ყოველ შემთხვევაში, ყინული დაიძრა.

ორი მშვენიერი გოლი „ლასპალმასთან“, კიდევ რამდენიმე სექტემბერ-ოქტომბერში (თუმცა მათი ნახევარი პენალტით), ორი ბურთი „დეპორტივოს“ კარში — ერთი სიტყვით, მორენო უაღრესად საშიში ფორვარდი გახდა. შესანიშნავად ითამაშა „თავის აღმზრდელ“ „ბარსელონასთან“, სადაც ასევე გაიტანა გოლი. ახლა უკვე მიმომხილველები ხავი მორენოს ძალიან აქებდნენ: აღნიშნავდნენ მის ფიზიკურ ძალას, რომელიც მშვენივრად ესამებოდა მაღალ ხტექნიკას, „უნივერსალურ სნაიპერს“ უწოდებდნენ, რომელიც ჩინებულად ურტყამდა არა მარტო ორივე ფეხით, არამედ თავითაც „ნამდვილი ინგლისელივით“ თამაშობდა.

მორენო: „პარტნიორების გარეშე მე როგორ გავიტანდი ამდენ ბურთს. თითოეულ ჩვენგანს, შესაძლოა დიდი ოსტატობა არა აქვს, ერთს ვერავინ წაართმევს, ვიცით, რა უნდა გავაკეთოთ მინდორზე, არავინ არიდებს თავს შავ სამუშაოს, არავინ ზარმაცობს მთელ თავის შესაძლებლობას 100 პროცენტით იყენებს. ჩვენი წარმატებების „საიდუმლოებაა“ ყველა 11 მოთამაშის შეთანხმებული მოქმედება. ჩემთვის ძალიან სასიამოვნოა, რომ სეზონის მეორე ნახევარში ჩვენზე ლაპარაკი დაიწყეს, არა როგორც ვიღაც მეტიჩრებზე, არამედ სერიოზულ გუნდზე, რომელსაც შეუძლია დიდი წარმატებების მიღწევა“.

ისე მოხდა, რომ ხავი მორენომ ესპანეთის ჩემპიონატში კინაღამ პირველი სნაიპერის წოდება მოიპოვა. იგი ამ დავაში დიდხანს ლიდერობდა, თუმცა ბოლო მომენტში მაინც გადაასწრეს რაულმა (24 გოლი 36 მატჩში) და რივალდომ (23 გოლი 35 მატჩში). მორენოს მესამე შედეგიც (22 გოლი 34 მატჩში), რა თქმა უნდა, ჩინებული იყო. რაც შეეხება „ალავესის“ წარმატებას, მისთვის, ცხადია, დიდი მიღწევა იყო უეფას თასის ფინალში გასვლა!

ჯერ კიდევ იანვარში ხავი მორენო ნიშანში ამოიღეს წამყვანმა კლუბებმა. პირველი, ვინც მისი დაუფლება მოინდომა, „ვალენსია“ იყო (ფეხბურთელიც ხომ თითქმის ვალენსიელია). აქედან არაფერი გამოვიდა. „ვალენსიას“ ხომ მწვრთნელი კუპერი ტოვებდა, კლუბის საქმეები აირდაირია. საქმეში ჩაერთნენ ლევერკუზენის „ბაიერი“, ბირმინგემის „ასტონ ვილა“, ლონდონის „ვესტ ჰემ იუნაიტედი“, თვით „ბარსელონა“ და „მილანი“. ფეხბურთელი კი ამ ვაჭრობას საკმაოდ გულგრილად უყურებდა. აი, რა თქვა მან აპრილში: „მე ამ აჟიოტაჟს წყნარად ვუყურებ. მთავარი კი ის არის, რომ პირველად ჩემს კარიერაში პრობლემები არა მაქვს: კარგად ვთამაშობ, გოლები გამაქვს, არც დავშავებულვარ“.

თითქოს საქმე ისე წარიმართა, რომ ამ დავაში „ბარსელონას“ უნდა გაემარჯვა. „ხავი მორენო ნამდვილი გუნდური მოთამაშეა, — განაცხადა კატალონიელთა მწვრთნელმა კარლოს რექსაჩმა — სწორედ ასეთი ფეხბურთელები სჭირდება ახლა „ბარსელონას“. არ დავმალავ, მე მომწონს ეს თავდამსხმელი“.

ბოლოს „ბარსელონას“ მაინც „მილანმა“ აჯობა. ამბობენ, რომ ამაში გადამწყვეტი როლი მორენოს ცოლმა შეასრულა, რომელსაც სურს იტალიაში ცხოვრება.

მაშ ასე, ახლა ხავი მორენო მილანშია. იქ მან შეეჩენკოსა და ფ. ინძაგის მხარდამხარ უნდა ითამაშოს, უფრო ზუსტად, მათი მეტოქე გახდება. აქ ერთ რამესაც აღნიშნავენ: ჯერ არა ყოფილა შემთხვევა, რომ ესპანელი იტალიის ჩემპიონატს მაინცდამაინც იოლად შეგუებოდეს. ეს ხოსე მარისაც ეხება და ფრანსისკო ფარინასსაც. ერთი სიტყვით, მორენოს კიდევ ერთი ფსიქოლოგიური ჯებირის გადალახვა მოუხდება, მაგრამ იგი ხომ შეჩვეულია სიძნელეებთან ბრძოლას.

ბივი თორელი

ეროვნული ბიბლიოთეკა

უიმბლდონის ექო

„ეს უფრო ფეხბურთის მაგჩს ჰგავდა“

ივანიშევიჩს ხორვატიაში შეხვდნენ როგორც გმირს

გთავაზობთ ნაწყვეტებს გორან ივანიშევიჩის ერთ-ერთი, თუ გნებავთ, უამრავი ინტერვიუდან.

● *როცა პატრიკ რაფტერთან სათამაშოდ ცენტრალურ კორტზე გაჯდით, არ გაგაკვირვათ შეშფოთებულმა ჩოგბურთისათვის სრულიად უჩვეულო ატმოსფერომ?*

— დიახ, სრულიად გაოცებული ვიყავი. არა მგონია, რომ ეს როდესმე განმეორდეს, იმდენმა ავსტრალიელმა და ხორვატმა გულშემატკივარმა მოიყარა თავი. ეს უფრო ფეხბურთის მატჩს ჰგავდა. არასდროს მიგრძვნია ასეთი სიამოვნება თამაშით. ეს ცხადია, მაყურებლების წყალობით მოხდა.

● *ტურნირის დროს უჩიოდით ტკივილებს მხარში. მაგრამ როგორ შეიძლება დაშავებული მხარით ამდენი „ეისის შესრულება“?*

— ძალიან ძნელია. უპირველეს ყოვლისა, იმიტომ, რომ არასოდეს იცი, რას მოგიტანს ეს ჩაწოდება. მე ყოველ ღამე ვლოცულობ, როდესმე შემიწყდეს ეს ტკივილი. არც კი მახსოვს, როდის შევასრულე ის პირველი ჩაწოდება, ტკივილი რომ არ მაწუხებდა. თუმცა ახლა ყოველივე ამას არავითარი მნიშვნელობა აღარა აქვს. აღარ ვაპირებ ჩივილს. მხარის ტკივილის გამო კი არ ვაგებ, არამედ მხოლოდ და მხოლოდ სუსტი თამაშით.

● *ოპერაციის გაკეთებას არ აპირებთ?*

— ადრე თუ გვიან, რა თქმა უნდა, გავბედავ, მაგრამ ახლა უიმბლდონის შემდეგ, რაც არის, არის. წლის ბოლომდე, მაინც ასე ვითამაშებ.

● *რატომ მიუძღვენით გამარჯვება მაინცდამაინც დრაჟენ პეტროვიჩს?*

— ჯერ ერთი, იგი ჩემი უახლოესი მეგობარი იყო. სამწუხაროდ, 1993 წლს ავტოკატასტროფაში დაიღუპა. როცა ასაფლავებდნენ, პირობა დავდე მისთვის უიმბლდონში გამარჯვება მიმეძღვნა. სამწუხაროდ, მაშინ შედეგებით არ გამოვირჩეოდი. ამას წინათ მამაჩემმა გაზეთები მომიტანა. ერთ-ერთში მისი სურათი იყო ასეთი წარწერით: „არ დაივიწყოთ იგი“. ვიფიქრე, რომ აქ ბედისწერასთან გვაქვს საქმე. ვაღს, ადრე თუ გვიან, გადახდა ხომ უნდა.

● *რას გაკეთებთ, როცა ჩოგბურთელის კარიერას დაასრულებთ?*

— ამაზე ჯერ არ მიფიქრია. შეიძლება დევისის თასზე კაპიტნის როლში გამოვიდე. საერთოდ, პროფესიონალურ ფეხბურთში ვცადო ბედი. შევიძენ გუნდს, სადაც ვითამაშებ. ყოველ შემთხვევაში, ჟურნალისტობას არ ვაპირებ.

● *თქვენ მოისმინეთ ჯონ მაკინროის კომენტარები, რომელმაც თქვა, რომ ერთადერთი, რაც თქვენ ჩოგბურთში გეხერხებათ, ეს მხოლოდ და მხოლოდ კარგი ჩაწოდებაა. რას იტყვით ამაზე?*

— ჯონ მაკინროი კარგა ხანს ჩემი კერპი იყო. იგი ისევე გამოხატავდა თავის ემოციებს კორტზე, როგორც მე. ეს ძალიან მომწონდა. მაგრამ, როგორც ადამიანზე, უკვე კარგა ხანია ავიყარე გული. ისეთი შთაბეჭდილება მრჩება, რომ მას, საერთოდ არავინ მოსწონს.

კაპრიატის დიდი პოპულარობა

ის, რომ უიმბლდონზე ჯენიფერ კაპრიატიმ დაიბრუნა ადრინდელი პოპულარობა, ახლა საესებით ცხადია.

— ყოველთვის, როცა უიმბლდონში ჩამოვდივარ, გვრძნობ, რომ გულშემატკივრები ძალიან გულითადად მხედებიან. ახლა, ეტყობა, მათ ჩემი წლევანდელი წარმატებებიც საამისოდ განაწყო.

● *ბევრმა შეამჩნია, რომ მატჩის წინ მუხლზე იდებდით ყინულის პაკეტს. ასე სერიოზულად ხართ დაშავებული?*

— ეს პრობლემა ჯერ კიდევ საფრანგეთის ღია პირველობაში შემექმნა. ამიტომ ახლა პროფილაქტიკური პროცედურების ჩატარება მიხდება.

● *ძალიან გაგიკვირდათ, რომ მსოფლიოს პირველი ჩოგანი მარტინა პინგისი პირველ შეხვედრაშივე დამარცხდა?*

— არა, სულაც არ გამკვირვებია. ყველას მოვუწოდებ არაფერი გაუკვირდეთ. შეიძლება ნებისმიერი განთესილი მოთამაშე მალე დამარცხდეს. ისინი კი, ვინც ძირითად ტურნირში საკვალიფიკაციო მატჩების მოგების შემდეგ მოხვდა, შორს წავიდნენ. ასეთ შეჯიბრებაში შედეგის წინასწარ გამოცნობა ყოველად შეუძლებელია.

● *10 წლის წინათ, აქ, უიმბლდონში, ყველაზე ახალგაზრდა ნახევარფინალისტი გახდით მთელი ისტორიის მანძილზე. იგონებთ თუ არა იმ დროს?*

— რა დამავიწყებს! კარგად მახსოვს ყველაფერი, რაც ხდებოდა. მაგალითად, ჩემი გამარჯვება მარტინა ნავრატილოვასთან მეოთხედფინალში. მაშინ მხოლოდ გამოუცდელი მოზარდი ვიყავი და შორს სულაც არ ვიყურებოდი. მიხაროდა, რომ ცხოვრებისგან სიამოვნებას ვიღებდი, მომავალზე არც კი ვფიქრობდი. ახლა ყველაფერს გაცილებით უფრო სერიოზულად ვუყურებ, ბევრს ვფიქრობ მომავალზე.

● *„როლან გაროსის“ შემდეგ თქვენ მთელი ორი კვირით გაქრით, ჟურნალისტები ვერსად გპოულობდნენ, არც რომელიმე საზეიმო შეხვედრაში მონაწილეობდით და არც სატელევიზიო გადაცემებში.*

— ეს უბრალოდ აიხსნება, ორი კვირის შემდეგ ხომ უიმბლდონი იწყებოდა. უპირველეს ყოვლისა, მასზე ვფიქრობდი. რომ ყოველივე ამ ხმაურში მიმეღო მონაწილეობა, აუცილებლად დავკარგავდი კონცენტრაციას. იმ მომენტში უნდა დამევიწყებინა „როლან გაროსი“ და ახალი ბრძოლისათვის მოვმზადებულიყავი. ამასთან, არა ვარ ამ ტელეშოუს მაინცდამაინც დიდი მოყვარული.

ვინ ვინაა • ფორმულა-1

ჟან ალეზი

დაიბადა 1964 წლის 11 ივნისს საფრანგეთის ქ. ავინიონში.

„ფორმულა-300“-ის 1989 წლის ჩემპიონია.

დებიუტი „ფორმულა-1“-ში: „საფრანგეთის გრან-პრიზე“ (1989 წლის 7 ივლისს) გუნდები: „ტრიელი“ (1989-1990), „ფერარი“ (1991-1995), „ბენეტონი“ (1996-1997), „ზაუბერი“ (1998-1999), „პროსტი“ (2000-2001). საუკეთესო მიღწევა: მე-4 ადგილი ჩემპიონატში (1996, 1997).

რბოლაში 184-ჯერ აიღო სტარტი: 1 გამარჯვება, 32 პოდიუმი, 2 პოულ-პოზიშნი, 10 სტარტი პირველ რიგში, 4 უსწრაფესი წრე. სულ დააგროვა 236 ქულა, ცხოვრობს შვეიცარიაში. ჰყავს მეუღლე კუმიკო და სამი შვილი.

გასტონ მაცაკანე

დაიბადა 1975 წლის 8 მაისს არგენტინის ქ. ლა-პლატაში. დებიუტი „ფორმულა-1“-ში: „ავსტრალიის გრან-პრიზე“ (2000 წლის 12 მარტს) გუნდები: „მინარდი“ (2000), „პროსტი“ (2001), საუკეთესო მიღწევა: არა აქვს, 17-ჯერ აიღო სტარტი რბოლაში: საუკეთესო ფინიში — მე-8 ადგილი (ევროპა — 2000). უცოლშვილოა.

გერმანელს ნაბიჯიღა აშორებს

ბოლოსწინა ეტაპის მოგება მსოფლიოს სამგზის ჩემპიონის „ფერარის“ მრბოლის გერმანელ მიხაელ შუმახერის 50-ე გამარჯვებაა „გრან-პრიში“. „ფორმულა1“-ის რეკორდამდე კი, რომელიც 1993 წლიდან მსოფლიოს ოთხგზის ჩემპიონს ალენ პროსტს ეკუთვნის, — მას ერთი გამარჯვებაღა აკლია რომ გაიმეოროს მიღწევა, რაც სავსებით რეალურია რომ 32 წლის მიხაელმა წელსვე გაიმეოროს და გადააჭარბოს კიდეც.

რალფ შუმახერი

ჩემპიონატის დამთავრებამდე „გრან-პრის“ 6 ეტაპი დარჩა. მაგრამ, ამ ამოცანის შესრულება ეჭვის ქვეშ აღმოჩნდა იმის გამო, რომ საწვრთნელ რბოლაში იტალიის ქ. მონცაში იგი დაშავდა (საათში 310 კმ სისწრაფით მიმავალს საჭე გაექცა და ტრასის ხღუდეს შეასკდა), ჰოსპიტალიდან ნახევარი საათის შემდეგ გამოუშვეს. პრეს-ატაშეს ცნობით, ავარია საშინლად გამოიყურებოდა, მაგრამ მრბოლი უვნებლად გადარჩა და მშვიდადაა.

ჯერ ცნობილი არაა, შუმახერი განაახლებს თუ არა წვრთნას.

ინიშვნელოვანი სპორტული გადაცემები

20 ივლისი, პარასკევი

საქართველოს ტელევიზია. I არხი. ჩოგბურთი. თბილისის ვაჟთა საერთაშორისო ტურნირი (14.00, 15.10), ***ევროკა.*** „მსოფლიო სპორტი“ (10.45, 20.00), ***PTP.*** მსოფლიო ჩემპიონატი საწყლოსნო სახეობებში (1.50), ***ESPN.*** ფეხბურთი. მსოფლიო თასი. მიმოხილვა (10.30), სპორტის სიახლენი (21.30, 22.30, 02.30, 05.30). ***EUROSPORT.*** ცურვა. მსოფლიო ჩემპიონატი (11.30, 21.00, 2.45), ველორბოლა. „ტურ დე ფრანსი“ (14.30, 17.15, 22.30), რალი. მსოფლიო ჩემპიონატი (2.15, 3.45). ***HTB плюс футбол.*** გავიხსენოთ განვლილი სეზონი: გერმანიის ჩემპიონატი „ბავარია“ — „კაიზერსლაუტერნი“ (15.25), ჰოლანდიის — „ფეიენოორდი“ — „ჰეიმეგენი“ (17.20), საფრანგეთის — პსჟ — „რენი“ (19.30), იტალიის „ფიორენტინა“ — „ლაციო“ (21.45), ჩემპიონთა ლიგა. „ბაიერი“ — მოსკოვის „სპარტაკი“ (23.30), ***HTB плюс спорт.*** მსოფლიო ჩემპიონატები საწყლოსნო სახეობებში. გახსნის ცერემონიალი (9.00, 19.30, სინქრონული ცურვა — ფინალი 14.30, 21.50), „ბილიარდის მეფეები“ (17.15), ტაილანდური კრივი (18.20).

21 ივლისი, შაბათი

საქართველოს ტელევიზია. I არხი. ჩოგბურთი. ვაჟთა თბილისის საერთაშორისო ტურნირი (13.15, 15,15), ***PTP.*** მსოფლიო ჩემპიონატი საწყლოსნო სახეობებში (2.20), ***ESPN.*** ბილიარდის მეფეები (11.00, 14.00, 18.00, 23.00). კალათბურთი. ნბა. ქალები (22.30, 04.30). ***EUROSPORT.*** ცხენოსნობა. ეროვნებათა თასი (12.30), ველორბოლა. „ტურ დე ფრანსი“ (14.00, 16.30, 22.00), ცურვა. მსოფლიო ჩემპიონატი (21.00, 3.15), რალი. მსოფლიო ჩემპიონატი (21.15, 4.15), ***HTB плюс футбол.*** გავიხსენოთ განვილილი სეზონი: ჰოლანდიის ჩემპიონატი — „ფეიენოორდი“ — „ჰაიმეგენი“ (13.15), საფრანგეთის — პსჟ „რენი“ (15.30), იტალიის — „ფიორენტინა“ — „ლაციო“ (17.30), გერმანიის — „შალკე-04“ — „უნტერხახინგი“ (19.40), იტალიის „ატალანტა“ — „იუვენტუსი“ (21.35), ჩემპიონთა ლიგა. მოსკოვის „სპარტაკი“ — „რეალი“ (23.20), „მსოფლიო ფეხბურთი“ (1.15), ***HTB плюс спорт.*** მსოფლიო ჩემპიონატები საწყლოსნო სახეობებში (9.00, 12.25, 13.30, 14.45, 21.40, 21.55), ჩოგბურთი. ფედერაციის თასი. სლოვენია — რუსეთი (17.00).

22 ივლისი, კვირა

საქართველოს ტელევიზია. I არხი. ჩოგბურთი. ვაჟთა თბილისის საერთაშორისო ტურნირი (12.35, 15.15), ***ESPN.*** ცხენოსნობა (10.30), „რაგბის სამყარო“ (22.30), ***EUROSPORT.*** ცურვა. მსოფლიო ჩემპიონატი (11.30, 21.00), ველორბოლა. „ტურ დე ფრანსი“ (18.00, 2.45). რალი. მსოფლიო ჩემპიონატი (2.15), ***HTB плюс футбол.*** გავიხსენოთ განვლილი სეზონი: გერმანიის ჩემპიონატი — „შალკე-04“ — „უნტერხახინგი“ (13.15), იტალიის — „ატალანტა“ — „იუვენტუსი“ (15.10), ესპანეთის — „ვალენსია“ — „რეალი“ (17.25), იტალიის — „პარმა“ — „რომა“ (21.40), ჩემპიონთა ლიგა. „მანჩესტერ იუნაიტედი“ — კიევის „დინამო“ (0.10). ***HTB плюс спорт.*** მსოფლიო ჩემპიონატები საწყლოსნო სახეობებში (9.00, 10.00, 11.40, 14.00, 20.00, 21.45, 22.10), ჩოგბურთი. ფედერაციის თასი. სლოვაკია — რუსეთი (15.30), ჭადრაკი. დორტმუნდის სუპერტურნირი (20.15).

უიმბლდონზე ნუგბარი უფრო იაფია

ჩოგბურთში უიმბლდონის ტურნირის უცილობელი ატრიბუტი 10 ცალი ნაღებიანი ხენდროს ულუფა კრიკეტისა და ლაუნ-ტენისის კლუბის ტრიბუნებზე გაცილებით იაფი ღირს – 1,84 გირვანქა სტერლინგი (2,61 დოლარი). ეს ორჯერ ნაკლებია ასკოტისა და ჩელსის სამეფო დოლზე რომ ღირს.

ანჩარებითა სოფელი... <u>რა ხდება ქვეყანაზე</u>

მსოფლიოში ათასგვარი საშუალებაა გუნდისა თუ მოთამაშის შენი სიფარულისა და ერთგულების დასამტკიცებლად. ბევრი ცდილობს გარეგნულად დაემსგავსოს კერპს, ზოგს კეფაზე ამოპარსული აქვს სათაფლო კლუბის სახელი. ინგლისური კლუბის „ფულხემის“ 26 წლის ფანატმა გუნდის პრემიერ-ლიგაში გადასვლის აღსანიშნავად მისი ერთგულების დასამტკიცებლად ზურგზე „ფულხემის“ ემბლემა „ამოისვრინგა“ — ორი გადაჭდობილი მახვილი, ციხესიმაგრე და დროშები. მაგრამ როგორ გაგულისდებოდა, როცა რამდენიმე საათის შემდეგ შეიტყო, რომ კლუბის პრეზიდენტმა მოჰამედ ალ-ფაიედმა „ფულხემის“ ემბლემის შეცვლა გადაწყიტა, რაც იმით ახსნა, რომ ძველი გერბი უფრო ადგილობრივი საბჭოს მმართველობას განასახიერებს, ვიდრე კლუბს. გუნდის მენეჯერმა ჟიულ სლორმა აღნიშნა: „ახალი ემბლემა ჩვენი სურვილის სიმბოლოა, ვიყოთ პროგრესულები და ჩვენი საქმის გულმოდგინე მიმდევარნი. ამიტომაც შევიმუშავეთ ასეთი დიზაინი — თეთრ ფონზე სამი წითელი ასო გვერდებზე ორი ვერტიკალური შავი ზოლით.

მაგრამ ამ სიტყვებს სულაც არ უნუგეშებია გულშემატკივარი, რომელიც აჩქარდა და სვირინგი გაიკეთა. იგი ითხოვს ამ ოპერაციის ღირებულების ანაზღაურებას — 300 გირვანქა სტერლინგის რაოდენობით, და „ფულხემის“ მატჩებზე დასასწრებ სეზონურ აბონემენტს, ისე რომ, აჩქარებითა სოფელი არც მას მოუჭამია...

საქართველოს მთამსვლელთა ეროვნული ფედერაცია ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ მწვერვალ უშბის კედლოვანი ასვლის დროს დაიღუპნენ საქართველოს რესპუბლიკის და ამერიკის შეერთებული შტატების მთამსვლელები

ვანო გულედანი
და
ჯოზეფ ბენსენი

და სამძიმარს უცხადებენ მათ ოჯახებს.



ქროსვორდი № 56

თარაზულად: 5 თურქეთის საფეხბურთო კლუბი, 7. ინგლისის საფეხბურთო კლუბი, 8. ვეტერანი ფალავანი ბერძნულ-რომაულ ჭიდაობაში, 9. ტექნიკური ჯარიმა კალათბურთში, 11. „ბაიერნის“ ფეხბურთელი-მცველი, 12. გაფრთხილება ძიუდოში, 14. ქვეყანა, სადაც ამჟამად მიმდინარეობს ფეხბურთში ტურნირი „კოპა ამერიკა“, 17. უპირატესობის მიცემა სპორტული შეჯიბრებისას, 18. თვითმფრინავიდან ადამიანის გადმოსატომი ან ტვირთის ჩამოსაგდები მოწყობილობა, 19. ფულის გზავნილობის შეტყობინება, 20. წმინდა გამარჯვება ძიუდოში.

ზვეულად: 1. ახალი ქართული შამპანური, 2. გერმანული ლეგენდის გმირი-სწავლული, რომელმაც კავშირი შეკრა მეფისტოფელთან, 3. მარადმწვანე მცენარე, გაშენებული პლანტაციებად, 4. ძველი ეგვიპტის მეფეების ტიტული, 6. ამერიკელი ჩოგბურთელი, ლინდსეი... 10. ნბა-ს პოპულარული გუნდი, 13. საქართველოს საფეხბურთო კლუბი, 15. არბიტრი ანუ, 16. იგივეა, რაც იალქანი.

ქროსვორდი №55 • პასუხები:

თარაზულად: 4. ლემერი, 8. ათლეტი, 9. ტირი, 10 ტრუბეგე, 11. „ლაციო“, 15. ელინგი, 17. ფრაკი, 18. სპრინტერი. **ზვეულად:** 1. სტარტი, 2. „შალკე“, 3. მეტრეველი, 5. „ელჩე“, 6. ისტომინი, 7. რურუა, 12. ტრიალო, 13. აფრა, 14. ფანი, 15. ეტლი, 16. ნენე.

საჭადრაკო ამოცანა

ჯემალ მახარაძე
(ზესტაფონი)



შამათი 2 სვლაში

წინა ნომერში გამოქვეყნებული ამოცანის ამოხსნა:

1. ე:f3! 1. ...ed 2. ლ:f4X.
1. ...ed5X. 2. კd3X. 1. ...d – 2. ლ:c6X.

თბილისი, 380008, მ. კოსტავას 14. ტელ. 99-56-14. ინდექსი 66435 INDEX. • „ლელის“ სამაგიდო-კომპიუტერული სისტემა: ხელმძღვანელი გურამ სიმონიშვილი. შემსრულებლები: მერი წოწორია, ნანი რამიშვილი. ინჟინერ-პროგრამისტი ირინე სიდამონიძე.

მთავარი რედაქტორი თენგიზ გაჩეჩილაძე